ბიბლიოთეკა


# ლელო

№ 34
(12 002)

9 – 11 მაისი, 2006 წ.        ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo


## ჩემპიონი დღეს გაცხადდება



ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

4

## 10 ოლიმპიელი სოკ-ის სტიპენდიატია

საქართველო GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მსოფლიო ოლიმპიური ოჯახის ერთ-ერთი გამორჩეულად ღირსეული წევრია, რაშიაც დიდია სეოკ-ის ხელმძღვანელობის დამსახურება. მათ მიერ სპორტსმენთა საკეთილდღეოდ და ოლიმპიური ღირებულებების დასამკვიდრებლად გადადგმული ნაბიჯები საყოველთაოდაა აღიარებული, უპირველესად, სოკ-ის მიერ. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი, რომლებიც მომავალი ოლიმპიური თამაშების რეალურ კანდიდატებად მოიაზრებიან, მიმდინარე წლის 1 მაისიდან, ოლიმპიური თამაშების პეკინში დაწყებამდე, აღიაროს თავის სტიპენდიატად და აღნიშნულ პერიოდში თითოეულს ყოველთვიურად გადაუხადოს 650 აშშ დოლარი. აი, ეს სპორტსმენებიც: ნინო სალუქვაძე, ლუკა კურტანიძე, გიორგი გოგშელიძე, რამაზ ნოზაძე, რევაზ მინდორაშვილი, ზურაბ ზვიადაური, დავით ქევხიშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, არსენ კასაბიევი და ზვიად სამუკაშვილი.



ლუკა კურტანიძე: „მადლობა ყველას ნდობისათვის"...

გუშინ სასტუმრო „თბილის – მერიოტში" სეოკ-ის თაოსნობით ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მოეწყო დოკუმენტაციის ოფიციალური გაფორმება, რასაც ესწრებოდნენ სპორტის დეპარტამენტის და ფედერაციების ხელმძღვანელები, მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენები. განმარტებებს იძლეოდა სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.

ე. ზენაიშვილმა შეკრებილთ მოახსენა ისიც, რომ სოკ-თან მუშაობს ათლეტთა კომისია, რომელსაც სერგეი ბუბკა უდგას სათავეში. ამ კომისიის თავმჯდომარე კი რეგლამენტით სოკ-ის აღმასკომის წევრია. „სოკ-ის რეკომენდაციით ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებშიც უნდა შეიქმნას ანალოგიური კომისია, რომლის წევრთა ორი მესამედი აირჩევა, ერთ მესამედს კი სეოკ-ი თავად შეარჩევს" – თქვა ე. ზენაიშვილმა და უპირველესად მან კომისიის ხელმძღვანელის კანდიდატურა დაასახელა – ლუკა კურტანიძე, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი შეკრებილებმა. ე. ზენაიშვილმა კვოტის მინიჭებული უფლებით დაასახელა აგრეთვე კომისიის წევრებიც: აჭარიდან – დავით ბედინაძე, სამხრეთ ოსეთიდან – არსენ კასაბიევი და იმერეთის რეგიონიდან – ნინო უჩაძე. აფხაზეთს კი თავისთავად ლუკა კურტანიძე წარმოადგენს. მათ გარდა კომისიის წევრები გახდნენ: ნინო სალუქვაძე, არსენ კასაბიევი, გიორგი ასანიძე, დავით ქევხიშვილი, მანუჩარ კვირკველია და ზურაბ ზვიადაური.



სიტყვით გამოვიდა ლუკა კურტანიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა სეოკ-ის ხელმძღვანელობას ნდობისთვის.

შეკრებაზე ბოლოდროინდელი წარმატებები მიულოცეს მოჭიდავეებს და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებს. სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა მადლობა გადაუხადა ფედერაციების ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს და სპორტსმენებს მიღწეული წარმატებებისთვის.

„გული არავის დაგწყდეთ, სოკ-ის სტიპენდიების გარდა, ჩვენ თავად გვაქვს შესაძლებლობა მატერიალურად წავახალისოთ თავგამოჩენილი სპორტსმენები, მთავარია თქვენ ეს დაიმსახუროთ" – უთხრა მათ ლ. ხაბელოვმა.

თენგიზ თომაშვილი.



კალათბურთი ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## ჩემპიონობისთვის «ავიამშენი» და «აზოტი», მესამე ადგილისთვის – თსუ – «ნიკორა» და სტუ

ახლა ყველა ხედავს, რომ საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას (პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**) ქვეყნის ჩემპიონატთან დაკავშირებით მადლობა ეთქმის მხოლოდ. დამოუკიდებელი საქართველოს წლებში ასე საინტერესოდ არასდროს ჩატარებულა ვაჟთა შორის ეროვნული ჩემპიონატი, როგორც ახლა. მარტო ის რად ღირს, რომ ჩემპიონატის მატჩების აჟიოტაჟი გასცდა თბილისს და გულშემატკივრობის ლაღად განცდის შესაძლებლობა მისცა რუსთავისა და ქუთაისის ქომაგებს. სწორედ რუსთავში, უაღრესად დაძაბულ პაექრობაში, მას შემდეგ, რაც სერიაში ანგარიში იყო 2:1, „აზოტმა", როგორც უკვე ვწერდით, მორიგ მატჩში, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა, 66:62 სძლია თსუ-„ნიკორას" და პირველი სუპერფინალისტი გახდა.

მეორე სუპერფინალისტი უნდა გამოევლინა „ავიამშენ" – სტუ-ს დაპირისპირებას. 5 მაისს ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში გამართულ ამ გადამწყვეტ (ანგარიში სერიაში იყო 2:2) მატჩში ავიამშენებლებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი დასახულ ამოცანას და შეხვედრა მოიგეს 96:71 (20:13, 25:24, 24:14, 27:20) – სერიაში 3:2. ამრიგად, ცნობილი გახდა მეორე სუპერფინალისტიც. „აზოტსა" და „ავიამშენს" შორის საჩემპიონო მატჩების სერია დაიწყება დღეს, 9 მაისს, თბილისის შეხვედრით. დღესვე გაიმართება მესამე ადგილისთვის ბრძოლის სერიის პირველი მატჩი „ნიკორა" სტუ-ს შორის.

## გოლოვინა მზადაა ევროპისთვის

ბულგარეთის ქალაქ გაბროვოში დასრულდა ბატუტზე მხტომელთა I საერთაშორისო ტურნირი იუნიორთა შორის, რომელიც ევროპის ჩემპიონატის წინა ასპარეზობა იყო. შეჯიბრებაში გარდა ბულგარელებისა მონაწილეობდნენ – ირლანდიის, ინგლისისა და საბერძნეთის სპორტსმენები. საქართველოდან ტურნირში გამოდიოდა ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი – **როზა ბერიკაშვილი**) აღსაზრდელი, 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შორის **ლუბა გოლოვინა**. ეს ტურნირი მისთვის 8 თვის შესვენების შემდეგ ერთგვარი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალების მოსინჯვა იყო ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც 20 მაისს გაიმართება საფრანგეთის ქ. მეცში. ლუბამ შესანიშნავად შეასრულა ნებისმიერი ვარჯიში, რითაც ფინალში I ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა. შეგირდის საუკეთესო ტექნიკური მომზადებისათვის სპეციალური თასით დაჯილდოვდა მწვრთნელი **ვლადიმერ გოლოვინი**.



ანა ბინდერი.

## კასაბიევმა მცირე ოქროს მედალი „ასწია"

საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვანო გრიქუროვი** მეტ დროს პოლონეთში ატარებს – თავის აქაურ და იქაურ შეგირდებს ერთად ავარჯიშებს.

ამ დღეებში პოლონეთის ქალაქ ვლადისლავოვოში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიაც საქართველოს სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ ვ. გრიქუროვის ხელმძღვანელობით. მათგან ყველაზე წარმატებით იასპარეზა ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრმა, ცხინვალელმა **არსენ კასაბიევმა**. 19 წლის ამ ძალოსანმა ჩემპიონატის მონაწილეთაგან ყველაზე მძიმე შტანგა დაძლია – 220 კგ აკრა და ჩემპიონატის მცირე ოქროს მედალს დაეუფლა. სამწუხაროდ, ატაცში არ გაუმართლა და ორჭიდში ჩათვლა საერთოდ ვერ მიიღო.

არაუშავს, შეცდომებზეც ხომ სწავლობენ!



საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**უმაღლესი ლიგა. XXIX ტური**
სპარტაკი – ტორპედო 1-2
თბილისი – კახეთი 3-0
ზესტაფონი – დინამო (სოხ) 4-1
დინამო (თბ) – კოლხეთი1913 5-0
ცხინვალი – დინამო (ბათ) 1-2
ბორჯომი – ლოკომოტივი 2-0
სიონი – ამერი 3-0
ვიტ ჯორჯია – დილა 2-0

**XXX ტური. ანონსი. 9 მაისი.**
ლოკომოტივი – სპარტაკი
ამერი – თბილისი
კოლხეთი 1913 – ცხინვალი
დინამო (ბთ) – ვიტ ჯორჯია
დილა – ბორჯომი
ტორპედო – სიონი
კახეთი – ზესტაფონი
დინამო (სოხ) – დინამო (თბ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 29 | 22 | 4 | 3 | 53-17 | 70 |
| ვიტ ჯორჯია | 29 | 21 | 4 | 4 | 52-16 | 67 |
| დინამო (თბ) | 29 | 19 | 4 | 6 | 55-21 | 61 |
| ზესტაფონი | 29 | 18 | 7 | 4 | 44-21 | 61 |
| ბორჯომი | 29 | 19 | 2 | 8 | 50-24 | 59 |
| დინამო (ბთ) | 29 | 17 | 6 | 6 | 41-20 | 57 |
| ამერი | 29 | 15 | 4 | 10 | 32-24 | 49 |
| ლოკომოტივი | 29 | 10 | 4 | 15 | 38-47 | 34 |
| კახეთი | 29 | 9 | 4 | 16 | 32-46 | 31 |
| ტორპედო | 29 | 8 | 6 | 1: | 28-38 | 30 |
| კოლხეთი1913 | 29 | 8 | 5 | 16 | 23-36 | 29 |
| დილა | 29 | 8 | 4 | 17 | 33-44 | '28 |
| ცხინვალი | 29 | 8 | 3 | 18 | 30-58 | 27 |
| თბილისი | 29 | 8 | 2 | 19 | 27-44 | 26 |
| დინამო (სოხ) | 29 | 5 | 3 | 21 | 25-64 | 18 |
| სპარტაკი | 29 | 3 | 6 | 20 | 11-54 | 15 |

## მშვიდობით, ჩვენო ძმაო!

წარმოუდგენლად თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალების შეტყობა, ჩვენო ამურ!

დღე არ გავიდოდა, ერთმანეთი არ მოგვეკითხა. ერთი ინტერესები გვქონდა, ყველგან ერთად დავდიოდით, შეძლებისდაგვარად ერთად ვემსახურებოდით ქართულ სპორტს. ბოლო დღეებში შენი ჯანმრთელობის გაუარესებამ ყველა შეგვძრა, მაგრამ ტრაგიკულ დასასრულს ნამდვილად არ მოველოდით. გვეგონა სპორტით ნაწრთობი ორგანიზმი სენს გაუმკლავდებოდა. შენ ხომ საერთოდ არ იცოდი რა არის ავადმყოფობა. თავზარდაცემულები ვართ. ძალიან გაგვიჭირდება უშენოდ. მოგვენატრები და მოგვენატრება შენი მომხიბვლელი სიდინჯე, ტკბილი საუბარი, მოგონებები. დაგვტოვე და ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ შენი ქვეყანა და შენი ხალხი არასდროს დაგივიწყებს. შენ, როგორც პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან, ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ წარმატებათა მესაძირკვლე, მუდამ დარჩები ქართული სპორტის გზის მანათობელ ლამპარად მომავალი თაობებისთვის.

მშვიდობით, ჩვენო სიამაყევ!

შენი მეგობრები: მზია ჯუღელი, რაფაელ ჩიმიშკიანი, რობერტ შავლაყაძე – ოლიმპიური ჩემპიონები.

## წყალბურთი – ფინალურ ეტაპზე...

აკი ვამბობდით, „გაფრინდებიანო". შეუპოვრობით მიზნის მიღწევას აბა, სხვა რა ჰქვია. სხვა სახელს მართლაც ვერ მოუძებნი, როცა ჭაბუკებს შინ მეტოქე არ ჰყავთ, მწვრთნელი სხვა ქვეყნების ღია პირველობებში დაატარებს ოსტატობის დასახვეწად, თანაც წარმატებებს აღწევს და ბოლოს ევროპაშიც გადის, თანატოლთა კონტინენტის ჩემპიონატშიც დაამტკიცებს თავის უპირატესობას. ეს კი ამ დღეებში ბულგარეთში მოხდა ჭაბუკ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე, სადაც C ჯგუფში რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთის, საქართველოს, მოლდოვას და კვიპროსის გუნდები იბრძოდნენ საკვალიფიკაციოდან ფინალურ ეტაპზე გასაღწევად. ჩვენები მხოლოდ რუსეთის ნაკრებთან დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით 8:10, დანარჩენ მეტოქეებს კი შთამბეჭდავად მოუგეს. საბოლოო ჯამში რუსეთის ნაკრების შემდეგ ჩვენებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

გთავაზობთ ცხრილს

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 5 | 0 | 109:19 | 10 |
| საქართველო | 5 | 4 | 1 | 74:38 | 8 |
| თურქეთი | 5 | 3 | 2 | 68:40 | 6 |
| მოლდოვა | 5 | 2 | 3 | 44:82 | 4 |
| ბულგარეთი | 5 | 1 | 4 | 29:67 | 2 |
| კვიპროსი | 5 | 0 | 5 | 28:10 | 0 |

A ჯგუფის გუნდები ირლანდიაში ასპარეზობდნენ იქ ფინალურ ეტაპზე გავიდნენ ინგლისელები და პოლონელები; B ჯგუფიდან (ავსტრია) – რუმინეთი, გერმანია და სლოვენია.

ფინალური ტურნირი გაიმართება 22-29 ივლისს რუმინეთის ქალაქ ორადეაში. როგორც ხედავთ ფინალისტთა შორის საქართველოს ჭაბუკებიც იასპარეზებენ.

„ლელოს" არაერთხელ აღუნიშნავს, რომ შესანიშნავი მწვრთნელის **სოსო მაისურაძის** ხელმძღვანელობით საქართველოს ჭაბუკი წყალბურთელები უთუოდ მიაღწევდნენ დიდ წარმატებას და მომავალი ეროვნული ნაკრების საიმედო ბაზაც შეიქმნებოდა. ყველაფერი მართლაც აქეთ მიდის.

აკი ვამბობდით, „გაფრინდებიანო"!

ვულოცავთ სოსო მაისურაძეს და მის შეგირდებს ბრწყინვალე წარმატებას.

ცოტნე ბაქრაძე.

## გენერალური მდივანი გივი ბოსტოღანაშვილია

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნდა სროლის ეროვნული ფედერაციის ყრილობის ანგარიში, რომელშიაც ფედერაციის ახალარჩეულ ხელმძღვანელობას შორის გამორჩენილია გენერალური მდივანი **გივი ბოსტოღონაშვილი**. რედაქცია ბოდიშს იხდის უნებლიე შეცდომისთვის.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 81 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ფალავანი, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან, სპორტის დამსახურებული ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში

დავით (ამურ) ციმაკურიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებრიობას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული სპორტის ერთ-ერთი ლეგენდა, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან, სეოკ-ის წევრი

დავით (ამურ) ციმაკურიძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს, ჭიდაობის სამყაროს.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონი, ოლიმპიური ოქროს პირველი მედალოსანი საქართველოდან, სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი

დავით (ამურ) ციმაკურიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# შინჯიკაშვილების ტრიუმფი

ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახალ პრეზიდენტად **გიორგი ჯიქია** 3 მაისს აირჩიეს. 6 მაისს კი ისტორიულ ცურტავში ქართული ჭიდაობის ნამდვილი ფალავნობა მოეწყო...

ბოლნისის რაიონის სოფელ ცურტავში დარეჯან დედოფლის ციხე-სიმაგრის გალავანში ღია საჭიდაოზე 23 მოჭიდავე ეცილებოდა ერთმანეთს აბსოლუტურ პირველობას. ფეოდალური ხანის ციხე-გალავნის ყველა კოშკზე კი ფრიალებდა ქართული ეროვნული დროშები. შერკინებებს ენაცვლებოდა მოცეკვავეთა ანსამბლ „შავნაბადას" (ხელმძღვანელი **თამაზ დაუშვილი**) როკვა, ქართული და ეროვნული ჰიმნის მელოდიები. გულშემატკივართა შორის იყვნენ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები, რაიონის ხელმძღვანელები, ცურტავში მცხოვრები აზერბაიჯანული ეროვნების გლეხები და ციხე-სიმაგრის გალავანში მოქმედი ქეთევან წამებულის მონასტრის სამღვდელოება და მათი მრევლი.



მამა-შვილი შინჯიკაშვილები ლევან თედიაშვილთან ერთად.

ცურტავობის დღესასწაული ამიერიდან მაისის გიორგობას და ქეთევან წამებულის ხსენების დღეს — სექტემბერში გაიმართება. ამ პირველ დღესასწაულს ფალავნობით ჩაეყარა საფუძველი და მომავალშიც ასე იქნება...

ფალავნობის სპონსორები იყვნენ: შპს „კასტელი — საქართველო" და ბოლნისის გამგეობა, ხოლო ზეიმი ქეთევან წამებულის მონასტრის წინამძღოლმა, დეკანოზმა **მამა კვირიკემ** (გაბიძაშვილმა) და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა **ამირან აფრიამაშვილმა** დააწესეს.

საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯილდოები მიიღეს საპრიზო ადგილზე გასულმა ფალავნებმა.

ამ საინტერესო ტურნირის პირველი გამარჯვებული გახდა ძიუდოისტთა ნაკრების წევრი მარტყოფელი **გიორგი შინჯიკაშვილი**, მეორე ადგილზე გავიდა გორელი ევროპის ჩემპიონი სამბოში **ნიკო ბიბილაშვილი**, მესამეზე ახალგაზრდა პერსპექტიული დუშელი მძიმეწონოსანი **ადამ ოქრუაშვილი**.

40-დან 60 წლამდე ასაკის ვეტერანთა ტურნირზე მთავარ ფალავნობაზე გამარჯვებულის გიორგი შინჯიკაშვილის მამამ **გელა შინჯიკაშვილმა** მოიპოვა პირველი ადგილი. ასე რომ, ცურტავში გამართული ფალავნობა მარტყოფელი მამა-შვილის ტრიუმფით დამთავრდა.

პრიზები გადაეცათ აგრეთვე პრიზიორთა მწვრთნელებსაც, რაც კარგი ტრადიციის დასაწყისია...

**ბარჯი ბაბოძე, ბოლნისი. ფოტო რობერტ ბაგოიანისა.**

# გურამ ბარამიძის ხსოვნის მეოთხე ტურნირი

კიოკუშინკაი კარატეს საქართველოში ფუძემდებლისა და კარატეს სასპორტო სკოლა „ორბის" ფუძემდებლის **გურამ ბარამიძის** ხსოვნას უკვე ტრადიციულად ქცეული საერთაშორისო ტურნირით მიაგებენ სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები. ბავშვთა და მოზარდთა შორის (10-17 წწ) წლევანდელი ასპარეზობა ამ დღეებში ჩატარდა ლ. თედიაშვილის სახელობის ჭიდაობის ოლიმპიური ცენტრის ბაზაზე. ორგანიზატორები იყვნენ თბილისის სპორტის საქალაქო სამსახური (უფრ. **გ. უდესიანი**), სპორტული ცენტრ „ავიამშენის" კიოკუშინკაის კარატეს განყოფილება (დირ. **ბ. მანწკავა**, განყ. უფრ. **ს. ბაიაშვილი**, კიოკუშინკაი კარატედოს საქართველოს ფედერაცია (პრეზ. **ა. ჩუბინიძე**) და ოიამა კარატეს ეროვნული ფედერაცია (პრეზ. **დ. მოდებაძე**) მონაწილეობდნენ ზემოხსენებული „ავიამშენის" ცენტრის და კარატეს ბავშვთა კლუბების აღსაზრდელები თბილისიდან, ბათუმიდან, ქობულეთიდან, ზუგდიდიდან, ზესტაფონიდან, ჭიათურიდან, ბორჯომიდან, გორიდან, თელავიდან, აგრეთვე სტუმრები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. სულ 300-მდე მონაწილე გამოვიდა სარბიელზე.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით. ჭაბუკები:** ნიკა მახლაური, ბესიკ გაბაშვილი, ზურაბ ჭაბაშვილი, გიორგი გელაშვილი, სერგო მოვსესიანი, იური ნაზაროვი, გიორგი ხუფუნია, სერგო ნაზაროვი, ირაკლი ბოლოთაური, ანდრო ზინჩენკო, ლევან ჯლარკავა, ერეკლე პირველი, ხვთისო ბერიძე, გაჩაი გამზაევი (აზერ), არტურ გევორქიანი, ვიქტორ კვიტეტიანი, ბექა შუბლაძე; **გოგონები:** დაშა ოვსიანიკოვა, ნინო საბიაშვილი და მაია მიხაილოვსკაია.

**ფოტო რობერტ ბაგოიანისა.**



მარცხნიდან არტურ გველესიანი, ერეკლე პირველი და გაჩაი გამზაევი.



# თავისუფალი ჭიდაობა. საერთაშორისო ტურნირი

თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის **ლევან თედიაშვილის** სახელობის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი პოპულარულ ასპარეზობად იქცა და ფილას კალენდარშია შეტანილი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მეტი პასუხისმგებლობა მართებთ ორგანიზატორებს ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამჯერად ტურნირში მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები, რომლებიც ქართველ თანატოლებთან პაექრობაში შინ უმედლოდ არ დაბრუნებულან.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 26 კგ:** 1. არტურ მოდოსიანი (გორი), 2. სპარტაკ ხაბაზი (ქედა), 3. გიორგი ქაჩალიშვილი (თბ), და უჩა საათაშვილი (გორი); **29 კგ:** 1. რამაზ ზოიძე (ბათ), 2. ტახირ ალიევი (აზერ), 3. გოგი ჯანიაშვილი (ყვარელი), და ხვთისო იორამაშვილი (გორი); **32 კგ:** 1. რაუფ შაკუროლი (თბ), 2. თორნიკე ასინათაშვილი (საგარ), 3. გია პეტრიძე (ხელვაჩაური), და ბექა ბუჯიაშვილი (გორი). **35 კგ:** 1. გოგი გუჯარაიძე (ყაზბ), 2. ჩინგიზ მახაჭოვი (მარნ), 3. ტაგუნ ასკაროვი (აზერ), და ლევან როჭიკაშვილი (საგარ); **38 კგ:** 1. ნარიკ სირუნიანი (სომხ), 2. ავთო მახაჭაშვილი, 3. დავით ბუზიაშვილი (ორივე ხაშური), და გიორგი დაბრუნდაშვილი (თბ). **42 კგ:** 1. ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური), 2. ლაშა ლომთაძე (ქუთ), 3. ილია დენტოშვილი (ყვარ), და ვასო გაგნიძე (ონი); **47 კგ.** 1. ჯემალ ხარაბაძე (ოზურგ), 2. ვლადიმერ ხინჩიკაშვილი (გორი), 3. ირაკლი კაციტაძე და ბექა პეტრიაშვილი (ორივე — საგარეჯო); **53 კგ:** 1. კოტე ხაბელაშვილი (გორი), 2. გიორგი თედიაშვილი (საგარ), 3. ვანო ახალმოსულიშვილი (ყვარ) და შავლეგ ყულიაშვილი (ბოლნ); **59 კგ:** 1. თენგიზ ჩოჩიშვილი (გორი), 2. თამაზ ელანდიშვილი (ქარელი), 3. რეზო ივანიშვილი (თბ), და თორნიკე ლურსმანაშვილი (ქუთ); **66 კგ:** 1. ჯონი ყდიძე (ბათ), 2. სულიკო გლუნჩაძე (ხარაგ), 3. ლევან გვილავა (აფხ), და კახა ბაქრაძე (ბოლნ); **73 კგ:** 1. ზელიფხან ემინოვი (გორი), 2. გიორგი ასლანიშვილი (თბ), 3. არსენ ჩომახიძე (ხონი), და მამუკა კორძახია (აჭარა); **85 კგ:** 1. თედო ებანოიძე (ხარაგ), 2. ივანე უძილაური (საჩხ), 3. გიორგი გოგრიჭიანი (გორი), და შანშე არაბული (თბილისი); **მძიმე:** 1. ვალერი გზირიშვილი (კასპი), 2. ბექა კუტუბიძე (თბ), 3. ირაკლი ღვალაძე (ამბრ), და ანზორ გიორგობიანი (თბ).



შეჯიბრების მომენტი



# ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე

## ოცდამერვე ოლიმპიური თამაშები

2004 წლის 13 — 29 აგვისტოს პერიოდში უმასპინძლა ათენმა ოცდამერვე ოლიმპიურ თამაშებს. მონაწილეობდა 202 სახელმწიფოს 10 882 სპორტსმენი, მათ შორის, 4428 ქალი.

სპორტის 39 სახეობაში გათამაშდა მედლების 301 კომპლექტი. 180 მამაკაცებს ხვდათ, 121 — ქალებს. მედლები მხოლოდ 75 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დაიმსახურეს.

ყველაზე მეტი ჯილდო მოიპოვეს აშშ-ის სპორტსმენებმა. მათ წილად მოდის 102 მედალი, აქედან 35 უმაღლესი ხარისხისა იყო. თამაშებზე მონაწილეებზე სულ გაიცა ყველა სინჯის 928 მედალი.

ათენში 63 რეკორდი დამყარდა, 33 — მსოფლიო, 30 — ოლიმპიური. (იხ. ოლიმპიური რეკორდების ცხრილი).

ეს თამაშები სპორტული პროგრამით დიდად არ განსხვავდებოდა წინამორბედ 2000 წლის ოლიმპიადისგან. სოკ-ის ხელმძღვანელობის, მასმედიისა და საზოგადოებრიობის შეფასებით იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო როგორც ორგანიზაციული, ასევე სანახაობრივი თვალსაზრისით.





**მძლეოსნობაში** მედალთა 46 კომპლექტი 39 სახელმწიფომ გაინაწილა. აქ, როგორც წინა ოლიმპიადებში, უძლიერესები იყვნენ აშშ-ის სპორტსმენები. მათ მონაგარს: ოქროს 8, ვერცხლის 13 და ბრინჯაოს 5 მედალი შეადგენს.

მეორე იყო რუსეთი. ოქრო — 6, ვერცხლი — 8, ბრინჯაო — 7.

ოლიმპიადის ორგანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბირთვის კვრაში შეჯიბრების ჩატარებას ანტიკური ოლიმპიადების ჩასახვის ქალაქ ოლიმპიაში შესანიშნავი რეაქცია მოჰყვა და იგი ერთგვარ ხიდად იქცა ძველ და ახალ ოლიმპიადებს შორის. ბირთვის კვრაში ქალებში გაიმარჯვა კუბელმა **კუბბა იუბილეიდიმ** 19,59 და ვაჟებში — უკრაინელმა **იური ბოლონოგიმ** — 21,16. 100 მ. ქალთა ასპარეზობაში კონკურენტი არ ჰყავდა ბელარუსელ **იულია ნესტერენკოს** — 10,93. იგი პირველი ევროპელი ქალია, რომელმაც ამ დისტანციაზე გაიმარჯვა ოლიმპიურ თამაშებში. საინტერესო პაექრობა გაიმართა ჭოკით მხტომელთა შორის. გაიმარჯვა რუსეთის წარმომადგენელმა **ელენე ისინბაევამ** მსოფლიო რეკორდით 4,91 მ. მისი თანაგუნდელი **ელენე სლესარენკო** კი პირველი იყო სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიური რეკორდით — 2.06. ოლიმპიური რეკორდით აღინიშნა მათივე თანაგუნდელის, უროს მტყორცნელის **ოლგა კუზნეცოვას** შედეგი — 75,02.

ოქროს მედლები ოლიმპიური რეკორდებით მოიპოვეს საბერძნეთის წარმომადგენელმა **ფანი ჰალკიამ** და აშშ-ის სპორტსმენმა **ჯოანი ჰაესისმა** — შესაბამისად 400 მ. თარჯრბენში (57,82) და 100 მ. თარჯრბენში (12.37).

ვაჟთა შორის უდავოდ დიდი წარმატება იყო დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენლის 24 წლის **ფელიქს სანჩესის** გამოსვლა 400 მ. თარჯრბენში — 47,63. იგი თავისი ქვეყნის პირველი ოლიმპიური ჩემპიონია. 110 მ. თარჯრბენში პირველი იყო ჩინელი **ლიუ ხიანიკი** (12,91). ეს პირველი ოქროს მედალია მძლეოსნობაში ჩინეთისათვის. 4X100 ესტაფეტაში პირველობდნენ ბრიტანელები — 38,07. ამ სახეობაში ბრიტანელებს „ოქრო" მოპოვებული ჰქონდათ ასი წლის წინათ — 1904 წ. თამაშებზე.

ბოლო პერიოდის ოლიმპიურ თამაშებში არაერთმა ეთიოპიელმა სპორტსმენმა გაიბრწყინა. არც ათენი იყო გამონაკლისი. **კენესა ბეკელა** ოლიმპიური რეკორდით (27.05,10) პირველი იყო 10 000 მ. რბენაში, „ვერცხლი" კი მოიპოვა 5000 მ. რბენაში — 13.14,59. ჭოკით ხტომაში 5,95 მ. პირველი იყო აშშ-ის წარმომადგენელი **მეთ ტიმოთი**, — ოლიმპიური რეკორდით 1500 და 5000 მ. რბენებში ტოლი არ ჰყავდა მაროკოელ **ხასან ელ ბერუჯს** შესაბამისად — 2.24,18 და 13.14,39.

სამხტომში და სიმაღლეზე ხტომაში პირველები იყვნენ შვედები **ქრისტიან ოლსონი** და **სტეფან ჰოლმი**. შესაბამისად 17,79 და 2,36 მ. საქართველოდან მძლეოსანთა ასპარეზობებში სამი სპორტსმენი მონაწილეობდა — ბირთვის კვრაში მარიამ ქევხიშვილი, სამხტომში — **იულია დუბინა** და **დავით ილარიანი** (110 მ. თარჯრბენი). მათი შედეგები მოკრძალებული იყო (იხ. ქვემოთ).

შესანიშნავი ამერიკელი მოცურავე, 19 წლის **მაიკლ ფელფსი** ათენში ერთი დიდი მიზნით ჩავიდა — ერთ ოლიმპიადაზე მოეპოვებინა ოქროს შვიდი მედალი და ამით ცურვაში თამაშების რეკორდი მოეხსნა. მართალია, მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ შესანიშნავად იასპარეზა და უძლიერეს მოცურავის სახელი დაიმკვიდრა. მან სტარტი წარმატებით აილო 400 მ. კომპლექსურ ცურვაში 4.08,26. მის ანგარიშზეა ასევე ოქროს მედლები 100 მ ოლიმპიური რეკორდი და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში შესაბამისად 51,25 და 1,54,04; 200 მ. კომპლექსურ ცურვაში — 1.57,14, 4X100 მ კომპლექსურ და 4X200 თავისუფალი სტილით ცურვაში. მესამე იყო 200 მ. და 4X100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში. მართლაც რომ შესანიშნავი მიღწევაა.

100 და 200 მ. გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა ამერიკელმა **აირონ პერსოლიმ**, შესაბამისად 54,0; და 1.54,95. ათენში კვლავ გაიბრწყინა შესანიშნავმა ავსტრიელმა მოცურავემ **იან ტორპმა**. იგი უძლიერესი იყო 200 და 400 მ. თავისუფალ სტილით ცურვაში — 1.44,71 და 3.43,10. „ვერცხლის" მედალი მოიპოვა 4X200 მ. თავისუფალ და „ბრინჯაო" 100 მ. ასევე თავისუფალი სტილით ცურვაში. აღსანიშნავია იაპონელ **კიტაიამა კოსუკეს** გამარჯვება 200 მ. ბრასით ცურვაში — 2.09,44. სენსაციად მოინათლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კვარტეტის გამარჯვება 4X100 თავისუფალი სტილით ცურვაში — 3.13, 17 (მსოფლიო რეკორდი).

ცურვაში ქალთა შორის ავსტრალიელმა **ჰენრი ჯოდიმ** 100 მ. თავისუფალ ცურვაში (53,84), ამერიკელთა კვარტეტმა კი 4X200 თავისუფალი სტილით ცურვაში (7.07,33) მსოფლიო რეკორდები დაამყარეს. ოლიმპიური რეკორდებით აღინიშნა ჩინელი სიუძუან ლუის შედეგი 100 მ. ბრასით ცურვაში — ასევე მსოფლიო მიღწევა იყო ავსტრალიელთა კვარტეტის შედეგი 4X100 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში — 3,35,94. ბრასის სტილით 200 მ. გამარჯვებულ ამერიკელ **ამანდა ბერდის** შედეგი 2.23,37 ოლიმპიური რეკორდია. ცურვაში გათამაშებულ მედალთა 32 კომპლექტს 20 სახელმწიფოს წარმომადგენლები დაეპატრონნენ. უძლიერესები იყვნენ ტრადიციულად აშშ-ის და ავსტრალიის სპორტსმენები. მათ შესაბამისად ოქროს ოქროს 12 და 7, ვერცხლის 8 და 7 და ბრინჯაოს 7 და 2 მედალი დაიმსახურეს.

ველოსპორტის სახეობებში (გზატკეცილი, კროსი, ტრეკი) გათამაშდა მედლების 18 კომპლექტი, რომლებიც 19 სახელმწიფოს სპორტსმენებზე განაწილდა. გზატკეცილზე ვაჟთა შორის ჯგუფურ რბოლაში 222,4 კმ. გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა იტალიელმა **პაოლო ბეტინიმ** — 5:41.44. წინა ოლიმპიადებში იტალიელებს ოთხჯერ ჰქონდათ მოგებული ანალოგიური რბოლები. 24 კმ. ინდივიდუალურ რბოლაში ქალთა შორის პირველი იყო ჰოლანდიელი **ლეონტიენ მორხელ ზაილაარდი** — 31.II,53. ეს მისი მეოთხე ოქრო იყო ოლიმპიურ თამაშებზე.

ველოკროსში გამოკვეთილი ლიდერები არ იყვნენ. მედალთა ორი კომპლექტი ექვსი სახელმწიფოს სპორტსმენებს ხვდათ წილად.

ტრეკზე შეჯიბრებებში დაფიქსირდა მაღალი შედეგები. გუნდურ სპრინტში გაიმარჯვეს გერმანელებმა, რომლის წევრს **იენ ფიდლერს** წინა ოლიმპიადებზე მოპოვებული ოქროს ორი და ბრინჯაოს ამდენივე მედალი ჰქონდა მოპოვებული.

გამოდევნებით 4 კმ. დისტანციაზე ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვა ავსტრალიის კვარტეტმა — 3.58,233. 1000 მეტრზე რბოლაში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა **კრის ჰოიმ** ოლიმპიური რეკორდით გაიმარჯვა. აღსანიშნავია ქალთა შორის 500 მ. დროზე რბოლაში ავსტრალიელის **ანა მიარესის** წარმატება, — მისი შედეგი 33,952 მსოფლიო რეკორდია. 3 კმ გამოდევნებით რბოლაში გამარჯვებული ახალი ზელანდიელის სარა **ულმერის** შედეგი 3.24,537 ოლიმპიური რეკორდი იყო.

ათენის ოლიმპიადა ტრეკზე ასპარეზობა ავსტრალიის სპორტსმენთა ტრიუმფით აღინიშნა, — გათამაშებულ მედალთა 12 კომპლექტიდან მათ შინ წაიღეს ოქროს 5, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს ამდენივე მედალი.

თანამედროვე ხუთჭიდში ქალთა შორის გაიმარჯვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა უნგრელმა **სუსანა ვოროშიმ** — 5448 ქ. ვაჟთა შორის პირველი იყო რუსეთის წარმომადგენელი **ანდრეი მოისეევი** — 5480 ქ. ამ სახეობაში ათენში მედლისათვის იბრძოდნენ საქართველოს ყოფილი ოლიმპიელი, სეულის თამაშების მესამე პრიზიორი **ვახტანგ იაგორაშვილი** და მისი ამერიკელი მეუღლე **მერი ბეტ იაგორაშვილი** (ლარსენი). ისინი შესაბამისად მე-9 და მე-15 ადგილზე გავიდნენ.

აფროსნობაში „მისტრალის" კლასში ვაჟთა შორის პირველი იყო ისრაელის წარმომადგენელი **გალ ფრიდმანი**. იგი ამ ქვეყნის პირველი ოლიმპიური ჩემპიონია. გ. ფრიდმანს ბრინჯაოს მედალი ჰქონდა მოპოვებული ატლანტის თამაშებზე. ისრაელი ოლიმპიურ თამაშებში 1952 წლიდან მონაწილეობს.

**დავით კინწურაშვილი,**

გაგრძელება იქნება.

დასაწყ. „ლელო" №2-დან.

## ფრენბურთი. ქალთა ეროვნული ჩემპიონატი

# „ჯიკო" ხუთგზის ჩემპიონია



თბილისში კიევის ქუჩაზე მდებარე სპორტული დარბაზი, რომელიც ახლა საქართველოდან ფრენბურთში ჯერჯერობით ერთადერთი ჩემპიონის **ვაჟა კაჭარავას** სახელობისაა, ოლიმპიური მზადების ცენტრის განკარგულებაშია. ამ დარბაზში მიმდინარეობდა ფრენბურთში ქალთა ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები. ბრძოლას ჩემპიონობისთვის აგრძელებდა დიდი ჯიხაიშის „ჯიკო", „ბოლნისი", „სპორტსკოლა" (თბ) და „დუშეთი". როგორც ცნობილია, „ჯიკო" ჩვენი ეროვნული ნაკრების ძირითადი ბირთვია, ასე ვთქვათ, საბაზო გუნდია და ბოლნისელებთან დაპირისპირებაში მათი უპირატესობა წინასწარვე იყო ცნობილი. საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა ეს შეხვედრა პირწმინდად მოიგო — 3:0 (25:13, 25:19, 25:11).

მეორე ნახევარფინალში „სპორტსკოლა" „დუშეთს" დაუპირისპირდა. აქაც სამივე პარტია ერთმა გუნდმა „სპორტსკოლამ" მოიგო (25:12, 25:13, 25:20). ასე რომ, ფინალში „ჯიკო" — „სპორტსკოლას" შეხვედრას უნდა გამოევლინა ახალი ჩემპიონი. ზოგიერთის ვარაუდი, რომ „ჯიკო" ადვილად დაძლევდა მეტოქის წინააღმდეგობას, არ გამართლდა.

თბილისელებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს სტუმრებს. „ჯიკომ" პირველი და მეორე პარტიები წააგო ლამის უიმედო ანგარიშით, შესაბამისად 16:25 და 6:28. ამის შემდეგ საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა „იპოვნა საკუთარი თავი" და მცირე სხვაობით მოიგო მესამე პარტია — 25:22, გადამწყვეტი კი მეხუთე პარტია გამოდგა. აქაც „ჯიკომ" იმარჯვა 15:11 (3:2) და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს უკვე ზედიზედ მეხუთედ დაეუფლა. უნდა ითქვას, რომ სტუმრები უკმაყოფილონი დარჩნენ მსაჯების დონით.

ჩემპიონის შემადგენლობა: გეგუჩაძე, შენგელია, გერლიანი, კახაძე, ლვინჯილია, აირაპეტიანი, არველაძე, გვანცელაძე, მიქაძე, დავითულიანი, იოსებაშვილი.

მესამე ადგილასათვის ბრძოლაში „დუშეთმა" აჯობა „ბოლნისს" 3:1 (25:13, 13:25, 25:12, 25:11).

**ლაშა გოგოლაძე.**

# მუხათის ფალავნობა გადატანილია

ქართული ჭიდაობის ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაციის თავმჯდომარემ **ჯუმბერ პაპაშვილმა** რედაქციას აცნობა, რომ სოფ. მუხათში (კოდის თემი) დანიშნული ფალავნობა ნაცვლად 26 მაისისა, ჩატარდება 20 მაისს.

# სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტი მხოლოდ სპორტის აკადემიაში უნდა მზადდებოდეს

მეცნიერება და სპორტი

მიაღწია თუ არა სპორტმა განვითარების უმაღლეს დონეს და არის თუ არა მოსალოდნელი შედეგების სენსაციური ზრდა ახლო მომავალში? სად გადის ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი? გარკვეულწილად პასუხი ამ კითხვას უკვე გასცა გასული საუკუნის ბოლო მეოთხედმა და ახალი საუკუნის დასაწყისმა. დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, რომ ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები, რაც დღემდეა დაფიქსირებული, მალე ჩაბარდება წარსულს. ბიმონის ნახტომის შემდეგ სპორტულ სამყაროში გამაოგნებელი არაფერი მომხდარა, ბოლოს კი ამ რეკორდსაც დაესვა წერტილი, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო სენსაცია.

მეცნიერება კვლავაც უდგას სპორტს მხარში. ფაქტია, ერთი რომელიმე დარგი მეცნიერებისა, სასწაულს ვერ მოახდენს, აი ყველას ერთად კი შეუძლია განაპირობოს სპორტის გარკვეული წინსვლა. სხვაგვარად სპორტი დაკარგავდა აზრს. დოპინგთან შეუნელებელი ბრძოლაც ხომ ბევრის მეტყველია. ფსიქოლოგია მეცნიერების ის დარგია, ურომლისოდ სპორტის წინსვლა და სრულყოფა დღეს უკვე წარმოუდგენელია.

როგორია სპორტის ფსიქოლოგიის, როგორც სპორტის შემსწავლელი ერთ-ერთი მეცნიერების როლი თანამედროვე ეტაპზე და სამომავლოდ. ვინ უნდა ამზადებდეს კადრებს? ამ საკითხზე წერილში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, თავის მოსაზრებებს გვიზიარებს ცნობილი სპეციალისტი გივი დვალი.

თავდაპირველად იმის შესახებ, თუ რატომ უკავია განსაკუთრებული ადგილი სპორტის ფსიქოლოგიას სპორტის შემსწავლელ მეცნიერებათა შორის.

პირველი — სპორტი, ისევე, როგორც ქცევის ყველა სხვა ფორმა, ქცევის სუბიექტის ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური და უნიკალური თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებები ობიექტურად ქცევაში ვლინდება. ქცევა კი ის სარკეა, რაშიც ქცევის სუბიექტი აირეკლება, ამიტომ ქცევის, მათ შორის, სპორტული ქცევის სრულყოფილი, მეცნიერული შესწავლა სპორტსმენის პიროვნების, მისი თავისებურებების გაუთვალისწინებლად ყოვლად გაუმართლებელია და სპორტულ საქმიანობაზე უარყოფითად აისახება; მეორე — გარდა აღნიშნულისა, შეჯიბრებისათვის მზადების (წვრთნის) პროცესი მიზნად ისახავს, გარკვეული ამოცანებით და მიზნებით, ერთმანეთისაგან განსხვავებული მოქმედებების — ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, თეორიული და ფსიქოლოგიური მომზადების განხორციელებას. ამდენად, შეჯიბრებისათვის სპორტსმენის წარმატებით მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი მწვრთნელთან ერთად სპორტის ფსიქოლოგსაც ეკისრება; მესამე — შეჯიბრება სპორტის არსებითი ნიშანია, სპორტსმენის ისეთი ქცევაა, რომელიც მიზნად ისახავს, წვრთნის პროცესში გამომუშავებულ და განვითარებულ სპორტული შესაძლებლობის, მეტოქესთან პაექრობის პროცესში, წარმატების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. წარმატება კი ხსენებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენის გზით მიიღწევა. აქედან გამომდინარე, სპორტული შეჯიბრების თავისებურებების, მისი სტრუქტურის დადგენა ფსიქოლოგიის უშუალო პრეროგატივაა. მეოთხე — სპორტის იმ სახეობებში, სადაც გუნდური პირველობები თამაშდება, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივის ფაქტორს. ეს უკანასკნელი, შეჯიბრების პროცესში, წარმატების დამატებითი ბერკეტის როლს ასრულებს. სპორტული კოლექტივის ჩამოყალიბება მწვრთნელისაგან მოითხოვს კოლექტივის სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებების — მიკროსოციალური ჯგუფების, მათ შორის, ურთიერთობების, დიფერენციაცია-ინტეგრაციის, შეთავსებადობის, ლიდერობის და ა.შ. საკითხების ცოდნას. ამ საკითხების დარეგულირებაც სპორტის ფსიქოლოგიის პრეროგატივაა; მეხუთე — სპორტში, განსაკუთრებით შეჯიბრებაში, მრავალი ობიექტური, განსაკუთრებით — სუბიექტური ფაქტორია ჩართული, რომელთაგანაც ზოგი ხელს უწყობს, ზოგი აფერხებს სპორტსმენის წარმატებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით უარყოფითი ფაქტორების დროულ გამოვლენას და მის დარეგულირებას. სწორედ ამ ფაქტორების სირთულემ განაპირობა ფსიქოლოგიური მომზადების სპორტში შემოტანა.

სპორტის ფსიქოლოგს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლება, შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს მწვრთნელს, რადგანაც წვრთნისა და შეჯიბრების პროცესში, მწვრთნელის წინაშე მრავალი, რთული ხასიათის ფსიქოლოგიური პრობლემა იჩენს თავს, რაზედაც იგი ყოველთვის ადეკვატურად როდი პასუხობს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა სპორტის ფსიქოლოგთა, პროფესიული კადრების მომზადებას. სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ, ისინი თავიანთი სპეციალობით იწყებენ მუშაობას, არა მხოლოდ სპორტულ კოლექტივებთან, არამედ — ინდივიდუალურად, ცალკეულ სპორტსმენებთანაც კი.

რა ვითარებაა საქართველოში სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტთა მომზადების მხრივ? უნდა ვაღიაროთ სავალალო რეალობა — დღეისათვის საქართველოში, სპორტის ფსიქოლოგთა სპეციალისტების მომზადება არ წარმოებს. საბჭოთა პერიოდში ისინი მზადდებოდნენ, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტურაში. პროფ. **ვლ. ნორაკიძის** ხელმძღვანელობით მომზადდა სპორტის ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ხუთი კანდიდატი, რომელთაგანაც ორი უცხოელი (რუსი და უკრაინელი იყო), ხოლო სამი — ქართველი. მათგან მხოლოდ ერთია (**გ. დვალი**) ცოცხალი. ვლ. ნორაკიძის მიერ შექმნილი სპორტის ფსიქოლოგთა ძირითადი ჯგუფიდან თბილისში მხოლოდ ორი შემორჩა (გ. დვალი და **მ. ყოლბაია**). მიუხედავად ქართულ სპორტში შექმნილი სირთულეებისა, აღნიშნულ ორ სპეციალისტს თეთრი დროშა არ აუფრიალებია, ისინი შესაშური ენერგიით იბრძვიან ქართულ სპორტში ფსიქოლოგიური სამსახურის აღორძინებისათვის. ამ პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი საგაზეთო წერილები „ლელოში" და „სარბიელში", მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ გამოხმაურებია. იძულებული გავხდით პირადად მივსულიყავით რიგ სპორტულ ორგანიზაციებში, სადაც შევთავაზეთ ჩვენი, როგორც სპორტის ფსიქოლოგების სამსახური (საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, 35-ე საფეხბურთო სკოლა, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე და ა.შ.) მილებით ყველამ კარგად მიგვიღო, დაგვეთანხმდნენ ყველაფერში, მაგრამ ამის იქით, საქმე წინ აღარ წასულა.

ზამთრის წლევანდელ ოლიმპიადაზე, ყველაზე მეტი მედალი გერმანელებმა მოიპოვეს. მათ გაასწრეს ზამთრის სახეობებში ისეთ მოწინავე ქვეყნებს, როგორიცაა: რუსეთი, კანადა, აშშ, ავსტრია, შვეცია, ფინეთი, ნორვეგია და ა.შ. საერთოდ, სპორტში, ჩვენი აზრით, გერმანელთა უდიდესი წარმატებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი გონივრული მუშაობაა. ვგულისხმობთ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასაც და ამ კადრებით სისტემის დაკომპლექტებას. ამასთან, გერმანული სპორტი სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია ფინანსურად. საქართველოში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ვითარება უმძიმესია. უპირველესი მიზეზი კი, უმეტესად, დაბალი კვალიფიკაციის კადრებია. დასამალი არაა, რომ ქართულ სპორტში უამრავი არასპეციალისტია დასაქმებული. მათი უმრავლესობა, წლების განმავლობაში ემზადებოდა სხვა სფეროებში სამუშაოდ. თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო მოხვდნენ სპორტში — მწვრთნელად ან ხელმძღვანელ თანამდებობებზე. თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა, რომლებსაც სხვა სპეციალობა ჰქონდათ, მაგალითად, **ნოდარ ახალკაცმა, ჯანო ბაგრატიონმა, იმედო ფხაკაძემ, მორის სახვაძემ** და სხვებმა, სპეციალური განათლების მიღების მიზნით, დაუსწრებლად დაამთავრეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და მრავალი წლის მანძილზე წარმატებით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ქართულ სპორტს.

სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტებს უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ქართული სპორტის ჯერ კიდევ გამოუვლენელი პოტენციალის გამოვლენაში. ამიტომ ზემდგომი ორგანოების წინაშე ვაყენებთ საკითხს ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემიაში ახალი სპორტული სპეციალობის, სპორტის ფსიქოლოგის შემოღების შესახებ. რამდენადაც სპორტის ფსიქოლოგს უნდა გააჩნდეს სპეციალური განათლება, კარგად იცნობდეს სპორტის ფსიქოლოგიას და სპორტს, ასეთი კადრების მომზადების პირობები მხოლოდ ამ უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია. სპორტის ფსიქოლოგიის მეცნიერული დაუფლება მხოლოდ აქაა შესაძლებელი. რაც შეეხება ზოგადად ფსიქოლოგიის ცოდნის დაუფლებას, ეს შესაძლებელი იქნება გამოჩენილ ქართველ სპეციალისტებთან თანამშრომლობით.

**გივი დვალი,**

**საქართველოს სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი.**

# ბურთით კოლექტიური თამაშის (ფეხბურთის) ისტორია

ფეხბურთის სამშობლოდ აღიარებულია, თუმცა არასწორად, ინგლისი.

ბურთით კოლექტიური თამაში აღნიშნულია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩინეთსა და იაპონიაში. ფარაონების არსებობის ხანაში ეგვიპტესა და უძველეს სპარსეთში იმართებოდა ბურთით ასპარეზობა. ანტიკურ საბერძნეთში ერთ-ერთი საყვარელი და მიმზიდველი იყო ბურთით გუნდური თამაში, რომელსაც ერქვა „ეპისკიროსი". რომის იმპერიაში კი სამხედრო რომაელი ლეგიონერები ვალდებულნი იყვნენ შეესწავლათ ეგრეთწოდებული თამაში „ჰარპასტუმი", რათა მუდამ ფიზიკურად მზად ყოფილიყვნენ სხვადასხვა საბრძოლო ილეთების დასამუშავებლად.

სწორედ რომაელი ლეგიონერები ყოფილან მოთავენი, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის მიჯნაზე „ჰარპასტუმი" დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე შეიტანეს და რომლის თამაშიც ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა სწრაფად აითვისეს. ის დამკვიდრდა ინგლისში და საკმაო პოპულარობაც მოიპოვა. მეტიც, სახალხო სახეობად იქცა და მიიღო გამოკვეთილი ინგლისური სახელწოდება „ფუტბოოლ". იმ დროს, რა თქმა უნდა, სტაბილური მოედნები არ იქნებოდა და თამაშობდნენ სტიქიურად.



143 წლის წინათ, 1863 წლის 26 ოქტომბერს ლონდონის ლუდხანა — „ფრიმენ თაუნში" შეიკრიბნენ საფეხბურთო კლუბების გამგებლები, რათა ერთხელ და სამუდამოდ შეემუშავებინათ თამაშის წესები და ჩამოეყალიბებინათ ასოციაცია. ამ დღეს იქ დაიწერა თამაშის წესების 13 პუნქტი, რომელიც, ფაქტობრივად, დღესაც ფეხბურთის თამაშის ძირითად არსს წარმოადგენს.

ფეხბურთს თავისი განვითარების გზაზე იოლი ხვედრი არ რგებია. დღემდეა შემონახული დოკუმენტები ფეხბურთის აკრძალვის შესახებ. თურმე ფეხბურთის თამაშისთვის აპატიმრებდნენ კიდეც მოთამაშეებს. გარკვეული დროის მანძილზე მას დაუკარგავს მასობრივი ხასიათი, მაგრამ მე-19 საუკუნის დამდეგს კვლავ მტკიცედ მოუკიდია ფეხი და ფეხბურთის ბაზა თანდათანობით უფრო მომძლავრებულა.

ინგლისიდან ფეხბურთი პირველად ბრიტანეთის კუნძულებზე გავრცელებულა. 1873 წელს ჩნდება შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია. 1875 წელს უელსის და, ბოლოს, 1880 წელს, დიდი ბრიტანეთის კუნძულების ბაზაზე ერთიანდება ყველა პატარ-პატარა კავშირი და ასოციაციად ყალიბდება, რომელსაც ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ეწოდა.

დიდი ბრიტანეთის კუნძულებიდან ფეხბურთი თავდაპირველად ევროპის კონტინენტზე შემოვიდა. ფეხბურთის ასოციაცია 1889 წელს იქმნება დანიაში. შემდეგ კი მოედო რიგ ქვეყნებს და საერთაშორისო მასშტაბის ყველაზე პოპულარული თამაში გახდა. კოორდინირების უკეთ წარმართვის მიზნით 1904 წელს შეიქმნა მსოფლიოს ფეხბურთის ცენტრი — ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა).

მე-19 საუკუნის ნახევარში თამაშის წესები ერთიანი არ ყოფილა. ქალაქები ფეხბურთს ერთმანეთში წინასწარშეთანხმებული წესებით თამაშობდნენ. თამაშის წესების ჩამოყალიბება პირველად კემბრიჯის უნივერსიტეტში უცდიათ 1848 წელს. ხოლო ამ მასალაზე დაყრდნობით 1862 წელს ქ. უპნინჰემის პროფესორს ფრინგს შეუდგენია 8-პუნქტიანი წესები. სწორედ ეს წესები, დაზუსტებების შემდეგ, 1863 წელს, 8 დეკემბრიდან დაკანონდა და ამოქმედდა.

ფეხბურთის ასოციაციის შექმნის შემდეგ შოტლანდიაში, უელსსა და ირლანდიაში დაარსდა სპეციალური ორგანო — ფეხბურთის წესების საერთაშორისო კომიტეტი. სხდომას წარმართავდა ბრიტანეთის ასოციაციის ოთხი წარმომადგენელი. ამ ორგანოს გადაწყვეტილება ყველასათვის მისაღები და აუცილებელი იყო.

თავდაპირველად ორგანიზებულ ფეხბურთის თამაშს ხელმძღვანელობდნენ გუნდების კაპიტნები. იმის გამო, რომ კაპიტნები ამავე დროს მოთამაშეები იყვნენ, მათთვის უხერხული იყო თამაშის დროს ედავათ წესების დარღვევის გამო და გადაეწყვიტათ ესა თუ ის საკითხი. ამიტომ საჭირო გახდა დაენიშნათ წარმომადგენელი, რომელიც თამაშში არ მონაწილეობდა. 1873 წლიდან მსაჯს უფლება მიეცა უხეში თამაშისთვის მოედნიდან გაეძევებინა ფეხბურთელი. მატჩის მსვლელობას იგი აჩერებდა სიტყვიერად ან ჟესტით. 1878 წლიდან ხმარებაში შემოვიდა სასტვენი. 1881 წლიდან ოფიციალურად დაწესდა, რომ თამაშს თავიდან ბოლომდე მსაჯი უხელმძღვანელებდა. 1887 წელს კი გუნდების წარმომადგენლები გვერდითი მსაჯები გახდნენ. ისინი უფლებამოსილნი იყვნენ თამაში შეეჩერებინათ გუნდების სურვილისამებრ, ორმხრივი შეთანხმებით, მათ კომპეტენციაში შედიოდა მსაჯის არჩევაც. 1889 წელს მსაჯს შეეძლო თამაშში ჩარეულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი აზრით გვერდით მსაჯებს სადავო ჰქონდათ. 1891 წელს მსაჯმა მიიღო მთლიანი ძალაუფლება. მას უკვე შეეძლო თვითონ ემსაჯა მატჩი. მაგრამ გუნდებს მაინც ჰქონდათ შეკამათების უფლება.

1892 წლიდან არბიტრი მსაჯობს თავისივე თაოსნობით და საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე მისი სიტყვა საბოლოოა. არავის აღარ ექვემდებარება.

1895 წელს არბიტრის ძალაუფლება ვრცელდებოდა იმ შემთხვევაშიც, როცა თამაშის შეწყვეტა იყო საჭირო. 1903 წლიდან ფეხბურთში მიიღეს უპირატესობა თამაშში. ამ დროდიან მსაჯი თამაშს არ აჩერებდა, თუ დარწმუნებული იყო, რომ ეს მომენტი სარგებლობას მოუტანდა დამნაშავე გუნდს.

დღეს მთელ მსოფლიოში ფეხბურთს თამაშობენ საერთაშორისო კომიტეტის მიერ დამტკიცებული წესებით.

ქართველებს ფეხბურთი ქ. ფოთში ჩამოსულმა მეზღვაურებმა გააცნეს. თამაში პირველებმა ფოთის ნავსადგურის ბიჭებმა აიტაცეს და ერთობ მალე შეისწავლეს. ასე დაწყებულა ჯერ ფოთში, მერე კი თბილისში, ბათუმში, სოხუმში პირველი გუნდების ჩამოყალიბება. ასე გადადგმულა პირველი ნაბიჯები და ასე იშვა ქართული ფეხბურთი.

1905 წლის თებერვალში ტფილისის გუბერნატორისა და ვიცე-გუბერნატორის თანამდებობის ალმასრულებელთა ხელმოწერებით მტკიცდება „ტფილისის ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა წრე — „კომეტა". ერთი წლის შემდეგ კი „კომეტამ" თამაშის წესები გამოსცა.

თბილისში პირველი ოფიციალური მატჩი დიდუბის იპოდრომის მოედანზე 1905 წელს გამართულა. 1912 წელს კი სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენის" წევრის გ. მოსოვის თაოსნობით „შევარდენის", როგორც მაშინ ეძახდნენ, „დეზერტირკის" მინდორზე ქალაქის პირველი ჩემპიონატი ჩატარებულა. სადაც პირველ, მეორე და მესამე გიმნაზიების და კომერციული სასწავლებლის ფეხბურთელთა გუნდებს მიუღიათ მონაწილეობა. გამარჯვება მეორე გიმნაზიის წარმომადგენლებს უზეიმიათ.

ამავე წელს თბილისში პირველი საერთაშორისო მატჩი იმართება. „შევარდენი" ბაქოს ნავთობზე მომუშავე ინგლისური კლუბის ფეხბურთელთა გუნდს ხვდება. მატჩი მოიგეს ინგლისელებმა 4-2. ერთი წლის შემდეგ, როცა ბაქოში შემდგარა ამავე გუნდების შეხვედრა, თბილისელებს რევანში აუღიათ. გაგუას და მაიერის მიერ გატანილი გოლების წყალობით მატჩი დასრულებულა 2-0.

ოციან წლებში „შევარდენს" არაერთი ფეხბურთელთა გუნდი შეემატა. ესენი იყვნენ: „არსრაიონი", „არმკლუბი", „ზიი", „მესტრანი", „პერზ", „პიშჩევიკი", და სხვ.

1923 წელს თბილისში იქმნება საქართველოში პირველი ფეხბურთის მსაჯთა კოლეგია. კოლეგიის შექმნის ორგანიზატორები იყვნენ **დ. სამუშია, ა. იოსავა, დ. მდივანი, ბ. სკოლზნევი და ქ. კრავჩენკო.**

1925 წელს სპორტსაზოგადოება „დინამოს" საბჭოსთან ყალიბდება ფეხბურთელთა გუნდი. ხოლო 1927 წელს იწყება ქალაქის ცენტრში 30.000 მაყურებელზე გაანგარიშებული „დინამოს" სტადიონის მშენებლობა. მას შემდეგ, ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში, არაერთი მოვლენა დაფიქსირდა. ცნობილმა გუნდებმა და ცნობილმა ფეხბურთელებმა, საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე გაიტანეს ქართული ფეხბურთის სახელი.

**ელდარ ჩიფჩიური**

**ავტორისაგან: მასალის მომზადებისას ვიხელმძღვანელე ფეხბურთის ჩეხი სპეციალისტის ვლადიმირ პაიდოვსკის და გარუნ აკოფოვის მიერ მოკვლეული მასალებით.**

# საფეხბურთო ვიქტორინა

## იცით ფეხბურთის ისტორია?

*1) რომელ წელს შეიკრიბნენ ლონდონის ერთ-ერთ ლუდხანაში თამაშის წესების შესამუშავებლად?*

ა — 1860 წელს
ბ — 1862 წელს
გ — 1963 წელს

*2) რამდენი პუნქტი იყო თავდაპირველად თამაშის წესებში?*

ა — 9
ბ — 13
გ — 21

*3) სად შეიქმნა პირველად ფეხბურთის ასოციაცია?*

ა — შოტლანდიაში
ბ — ინგლისში
გ — უელსში

*4) დიდი ბრიტანეთის შემდეგ პირველად ევროპაში სად შეიქმნა ფეხბურთის ასოციაცია?*

ა — შვეციაში
ბ — ნორვეგიაში
გ — დანიაში

*5) რომელ წელს შეიქმნა ფიფა?*

ა — 1900 წელს
ბ — 1904 წელს
გ — 1908 წელს

წინა ვიქტორინის პასუხები: 1 – ა, 2 – გ, 3 – ბ, 4 – ა, 5 – გ.

---

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ღრმა მწუხარებაში, ღვაწლმოსილ სპორტულ მუშაკს, აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, ამჟამად აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპეციალისტს ამირან ზუხბაიას დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, ამავე სასწავლებლის კურსდამთავრებულის, საქართველოდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონის, ლეგენდარული ფალავნის**

**დავით (ამურ) ციმაკურიძის**

**გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

**„ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს**

**დავით (ამურ) ციმაკურიძის**

**გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დედის გარდაცვალებით გამოწვეულ ღრმა მწუხარებაში თანადგომას უცხადებს სეოკ-ის წევრს, აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ამირან ზუხბაიას.**

**ახლო მეგობრები ნარგიზა მესხი, მარინა თარხნიშვილი, მერაბ მეტრეველი, თემურ ლორთქიფანიძე, ზაალ ბარათაშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე თანაუგრძნობენ ამირან ზუხბაიას დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თავისუფალი სტილის ვეტერანი მოჭიდავე, ბავშვებთან მომუშავე ცნობილი მწვრთნელი**

**როსტომ მელაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
Coca-Cola
გენერალური სპონსორი

# ჩემპიონი დღეს გაცხადდება

დღეს, ქართული ფეხბურთის დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის უკანასკნელი ფურცელი მეჩვიდმეტედ გადაიშლება. დასრულდება მორიგი პირველობა და ჩემპიონიც გამოცხადდება. თუმცა, ასეთ ვითარებაში, აჩქარება არ ეგების. კიდევ ერთხელ, წლეულს, საბოლოოდ, დაველოდოთ და თვალი მივადევნოთ მოვლენათა განვითარებას და ოცდამეათე ტურის შედეგებს.



შაბათს გამართულმა ბოლოსწინა ტურმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს გასცა პასუხი. გამოვლინდნენ ულაპარაკო აუტსაიდერები, გუნდები, რომლებიც მომავალ სეზონში პირველ ლიგაში დაქვეითდნენ. სოხუმის „დინამოს" და თბილისის „სპარტაკს" ყველამ გაასწრო და უმაღლესი ლიგიდან გააგდო.

დღევანდელ ბოლო ტურამდე უპასუხოდაა დარჩენილი მთავარი კითხვა. ოფიციალურად გაიფორმებს თუ არა პირველ ადგილს ქუთაისში ბოლნისის „სიონი". ამისთვის, სტუმრებს ერთი ქულის აღებაც ჰყოფნით და ჩვენებური ფეხბურთის ჩემპიონთა ტრიო (თბილისის „დინამო", „ვიტ ჯორჯია" და ქუთაისის „ტორპედო") კვარტეტად გარდაიქმნება. პროფლიგის მესვეურებმა საქართველოს ჩემპიონთა თასი ქუთაისში წინასწარ გააგზავნეს, რათა სასურველი შედეგის მიღწევის შემთხვევაში, ბოლნისელებს სანუკვარი და უპირველესი პრიზი იქვე გადასცენ. სიონელთა ერთადერთ კონკურენტს თბილისის „ვიტ ჯორჯიას", ასევე ოფიციალურად ფარხმალი ჯერ არ დაუყრია და უკანასკნელ გაბრძოლებას ბათუმში აპირებს, მაგრამ ამის გაკეთება ერთობ ძნელი იქნება. ზღვისპირული „დინამო" მეორე წრის საუკეთესო გუნდია და არც მას სურს ჩინებული სეზონი წაგებით დაასრულოს.

მესამე საპრიზო ადგილისთვის ბოლო ბრძოლას გამართავენ თბილისელი დინამოელები, ზესტაფონელები და ბორჯომელები, რომელთაგან ბრინჯაოს მედლის მოპოვების საუკეთესო შანსი „დინამოს" აქვს, რადგან რიგიდან გავარდნილ გუნდს ესტუმრება და ალბათ მოუგებს კიდეც.

ბოლო ტურში გაირკვევა იმათი ვინაობაც, ვინც, უმაღლესში დასარჩენად პირველი ლიგის მესამე და მეოთხე გუნდებს გადათამაშებაში დაუპირისპირდება. გეტყვით იმასაც, რომ, „უმცროსებმა" უმაღლესი ლიგისკენ სავალი გზა დაულოცეს საჩხერის „ჩიხურას" და თბილისის „მერანს". პირველ ლიგაში დასადგენია ვინ იასპარეზებს გადათამაშებაში და გადაინაცვლებს რეგიონალურ ლიგაში.

მოკლედ, გაზაფხულის ბოლო თვეში წიწილების დათვლის დრო მოვიდა. ზოგიერთი გამარჯვებით გაიხარებს, ზოგიერთი დამარცხებით დამწუხრდება. ჩვენი ფეხბურთი კი რამდენიმე დღეში ქომაგებს განვლილი სეზონის ანგარიშს ჩააბარებს.

# ეროვნული სტადიონი განახლდება

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სარეაბილიტაციო — სარემონტო სამუშაოები კარგა ხნის დაწყებულია და საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მუშაობა წუთითაც არ წყდება. ფაქტობრივად, შენობის სრული რეკონსტრუქცია ხორციელდება. „დინამო ინვესტის" მესვეურები ირწმუნებიან, რომ საქართველოსა და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთა 2 სექტემბრის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს სტადიონი სრულ მზადყოფნაში შეხვდება და უეფას საერთაშორისო სტანდარტებს და მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებს. რეკონსტრუქციის შემდეგ სხვადასხვა ფერის 60-65 ათასი ინდივიდუალური სკამები განთავსდება, ერთ-ერთი ტრიბუნა ეროვნული დროშის ფერებით გაეწყობა. არენის სახურავს ჰიდროიზოლაცია გაუკეთდება, სრულად გამოიცვლება სარბენი ბილიკის და მინდვრის საფარი, შეიცვლება განათება და გაიზრდება მისი სიმძლავრე, მთლიანად გადაიხურება პრესის ლოჟა, გეგმაშია პრეს-ბარის გაკეთებაც, დამონტაჟდება ახალი ელექტროტაბლო, გამაგრდება შენობის საძირკველი და შეიღებება ფასადი. ეს მიმდინარე სამუშაოების არასრული ჩამონათვალია. მთავარია, სტადიონის განახლება დასახულ — დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რაც, როგორც ზემოთ ითქვა, მშენებელთა დიდი მონდომებით მიმდინარეობს.

# საწვრთნელი ბაზაც გარემონტდება

ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბაზაზეც სარემონტო სამუშაოები დაიწყო. მიმდინარეობს ნაგებობის გამაგრებითი სამუშაოები. შენობას გაუკეთდება ჰიდროიზოლაცია. ბაზის სავარჯიშო მინდორზე დაიგება უმაღლესი ხარისხის საფარი, ისეთი, როგორიც ეროვნულ სტადიონზეა, რაც ფეხბურთელებს, სათამაშო მინდორთან შეგუებას გაუადვილებს. დამონტაჟდება ტრიბუნებიც, ბაზის საცხოვრებელ კორპუსში ამოქმედდება აუზი და საუნა. სარემონტო სამუშაოები, სავარაუდოდ აგვისტოში დამთავრდება. ბაზის დირექტორის **ზურაბ ადამიას** განცხადებით, ყველა არსებული ხარვეზი დროულად და ხარისხობრივად გამოსწორდება.

# პარაგვაიმდე ახალ ზელანდიას შევუამხანაგდებით

თვის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპულ ტურნეს მოაწყობს. **კლაუს ტოპმიოლერის** შეგირდები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. რამდენიმე დღის წინ გაირკვა, რომ ჩვენი ნაკრების პირველი მეტოქე 27 მაისს, ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი იქნება. კუნძულელებმა სფფ-ში უკვე გამოაგზავნეს თანხმობის ფაქსი. მატჩი გერმანიაში ჩატარდება. კონკრეტულად, რომელ ქალაქში და რომელ სტადიონზე, მალე გაირკვევა. 31 მაისს კი ჩვენი მეტოქე პარაგვაის ეროვნული ნაკრები იქნება. ამ მატჩს ავსტრიის პატარა ქალაქი დორნ ბირნი უმასპინძლებს.

მოგეხსენებათ, საქართველოში იმყოფებოდა სპორტული ფორმის მწარმოებელი იტალიური ფირმის „დიადორას" ვიცე-პრეზიდენტი **რიკარდო მატოლინი**. მასთან სფფ-ს მესვეურთა მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს. მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება უკვე მიღწეულია, დასაზუსტებელია, რამდენიმე დეტალი და ხელშეკრულება გაფორმდება. თუ იტალიელებმა მოასწრეს და ნაკრების ფორმის პირველი საცდელი პარტია დროზე გამოაგზავნეს, მას საქართველოს 19 წლამდე ჭაბუკთა ნაკრების ფეხბურთელები მოირგებენ, რომლებიც, სავარაუდოდ, 14 მაისს, სლოვაკეთში გაემგზავრებიან და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე იასპარეზებენ. ოთხთა ტურნირი 19-23 მაისს გაიმართება.

# მსაჯები ცნობილია

ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ გამოაქვეყნა იმათი ვინაობა, ვინც 13 მაისს, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ფინალს გაუძღვება. „ამერისა" და „ზესტაფონის" შეხვედრის მთავარი მსაჯია გიორგი ვადაჭკორია, თანამსაჯები — ლევან მიქელაძე და ზურაბ ჯვარიძე, მეოთხე მსაჯი არსენ ნონიკაშვილი იქნება. მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება და 20 საათზე დაიწყება.

ფინალისთვის გამალებით ემზადებიან მატჩის ორგანიზატორებიც. პროფლიგა გუნდების გულშემატკივრებს სიურპრიზებს და საინტერესო სანახაობას ჰპირდება. ბილეთების ფასიც ხელმისაწვდომია, 2-3 ლარი.

შეგახსენებთ, „ამერიც" და „ზესტაფონიც" ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი პრესტიჟული ტურნირის ფინალში პირველად იასპარეზებენ.

# პირველი ლიგა

**XXXIII ტური**

საგარეჯო — ამერი2 1-1
მერანი — რუსთავი 3-2
გაგრა - გურია 1-0
თბილისი2 — იმედი 6-2
დინამო2 — ჩიხურა 1-1
ზუგდიდი — მეშახტე 2-1
ლიახვი — მესხეთი 1-3
ზესტაფონი2 — მეშაქრე 0-0
ვიტჯორჯია2 — მალაროელი 1-0

**XXXIV ტური. ანონსი.**
**10 მაისი**

მესხეთი — ზესტაფონი2
მეშაქრე — მერანი
რუსთავი — გაგრა
გურია — ვიტ ჯორჯია2
მალაროელი — თბილისი2
იმედი — საგარეჯო
ამერი2 — დინამო2 !თბ)
ზუგდიდი — ჩიხურა
მეშახტე — ლიახვი

**პირველი ლიგა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 33 | 23 | 6 | 4 | 84-32 | 75 |
| მერანი | 33 | 23 | 5 | 5 | 59-26 | 74 |
| გაგრა | 33 | 19 | 10 | 4 | 47-20 | 67 |
| დინამო2 (თბ) | 33 | 17 | 8 | 8 | 54-25 | 59 |
| მეშაქრე | 33 | 17 | 5 | 11 | 45-32 | 56 |
| მესხეთი | 33 | 16 | 6 | 11 | 47-30 | 54 |
| ამერი2 | 33 | 14 | 9 | 10 | 38-26 | 51 |
| რუსთავი | 33 | 13 | 9 | 11 | 48-35 | 48 |
| ვიტ ჯორჯია2 | 33 | 13 | 6 | 14 | 40-40 | 45 |
| გურია | 33 | 13 | 5 | 15 | 45-44 | 44 |
| თბილისი2 | 33 | 12 | 8 | 13 | 34-39 | 44 |
| ზუგდიდი | 33 | 12 | 7 | 14 | 22-30 | 43 |
| მეშახტე | 33 | 10 | 9 | 14 | 35-40 | 39 |
| ზესტაფონი2 | 33 | 9 | 9 | 15 | 23-41 | 36 |
| მალაროელი | 33 | 9 | 7 | 17 | 37-56 | 34 |
| საგარეჯო | 33 | 7 | 10 | 16 | 28-43 | 31 |
| იმედი | 33 | 5 | 2 | 26 | 21-85 | 17 |
| ლიახვი | 33 | 4 | 1 | 28 | 24-87 | 13 |

# რეგიონალური ლიგა

**აღმოსავლეთი. XXVII ტური**

ნ. დინამო — დილომი (გადაიდო)
სამგორი — ერთობა 8-1
ალგეთი — ნ. დინამო2 1-2
ამერი3 — ალაზანი 2-0
ცხუმი — გარეჯი 2-2
კახეთი2 — ოჩამჩირე (გადაიდო)
ხალიბი — დურუჯი 5-2
ამირანი (ნახ) — მაუდი 2-0

**გადატანილი მატჩი**

ოჩამჩირე დილომი 0-0

**ცენტრალური. XXXII ტური**

ამირანი (თბ) — 35-ე სკოლა 2-2
ბორჯომი2 — გორი 5-2
პეტროვიჩი — ზოოვეტი 1-2
ჩიხურა2 — აკადემია 2-0
მეტეხი — ივერია (გადაიდო)

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 26 | 19 | 6 | 1 | 70-10 | 63 |
| დილომი | 26 | 19 | 5 | 2 | 64-15 | 62 |
| ნ. დინამო2 | 27 | 19 | 3 | 5 | 48-23 | 60 |
| ამერი3 | 26 | 18 | 5 | 3 | 60-15 | 59 |
| ოჩამჩირე | 26 | 14 | 4 | 8 | 47-28 | 46 |
| ცხუმი | 25 | 13 | 3 | 9 | 52-35 | 42 |
| სამგორი | 27 | 11 | 3 | 13 | 56-61 | 36 |
| მაუდი | 25 | 9 | 7 | 9 | 38-38 | 34 |
| გარეჯი | 27 | 9 | 7 | 11 | 27-27 | 34 |
| ამირანი (ნახ) | 26 | 10 | 4 | 12 | 47-42 | 34 |
| კახეთი2 | 26 | 9 | 5 | 12 | 38-37 | 32 |
| ხალიბი | 27 | 9 | 4 | 14 | 33-46 | 31 |
| ალგეთი | 27 | 6 | 6 | 15 | 38-70 | 24 |
| ალაზანი | 27 | 5 | 3 | 19 | 16-56 | 18 |
| დურუჯი | 27 | 4 | 5 | 18 | 25-78 | 17 |
| ერთობა | 27 | 0 | 4 | 23 | 19-97 | 4 |
| **ცენტრალური** | | | | | | |
| ჩიხურა2 | 32 | 24 | 4 | 4 | 84-19 | 76 |
| აკადემია | 32 | 21 | 2 | 9 | 68-29 | 65 |
| ბორჯომი2 | 32 | 21 | 2 | 9 | 68-34 | 65 |
| ზოოვეტი | 32 | 19 | 5 | 8 | 45-25 | 62 |
| 35-ე სკ | 32 | 13 | 7 | 12 | 61-48 | 46 |
| გორი | 32 | 13 | 6 | 13 | 52-48 | 45 |
| ამირანი (თბ) | 32 | 10 | 4 | 18 | 39-47 | 34 |
| ივერია | 31 | 7 | 8 | 16 | 27-55 | 29 |
| პეტროვიჩი | 32 | 5 | 6 | 21 | 30-79 | 21 |
| მეტეხი | 31 | 3 | 2 | 26 | 23-108 | 11 |

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თბილისის „დინამომ" ფოთის „კოლხეთი" მიიღო და გამარჯვებაც ღირსეულად მოიპოვა.

ჩერნიშოვის შეგირდებმა თავიანთი დავალება პირნათლად შეასრულეს. ანგარიში პირველივე წუთებზე გაიხსნა. მეტოქის საჯარიმოში **„კობახიძემ დვალი"** მოძებნა, რომელმაც ბურთი **ბობოხიძეს** გადასცა. ამ უკანასკნელმა კი მეკარე **ხარძეიშვილის** კარი დაუყოვნებლივ დალაშქრა 1-0. ოთხიოდე წუთში **ბურდულის** ზუსტი პასით დვალმა ისარგებლა და 2-0. მალევე **დარასელიას** ჰქონდა რეალური შანსი, მაგრამ ბურთი კარს მცირე მანძილით ასცდა.

კობახიძე, რომელიც დინამოელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, 31-ე წუთზე დარასელიას გადაცემით ანგარიში სამამდე გაზარდა. ამ ნიჭიერი ფეხბურთელის თამაშმა მოხიბლა მაყურებელი. 45-ე წუთზე დვალმა დუბლი შეასრულა. მისი გატანილი გოლი მართლაც რომ შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

მეორე ნახევარში კვლავ მასპინძლები ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას. დაცვითი ხაზი შეუცდომლად თამაშობდა, რის გამოც სტუმრებმა ერთი სახიფათო მომენტიც ვერ შექმნეს.

87-ე წუთზე დინამოელმა ჯაბა დვალმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა... 5-0.

ამ გამარჯვებით „დინამომ" 61 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი შეინარჩუნა.

**ლ. ჯანკოტაძე.**

# უმაღლესი ლიგა. XXIX ტურის სტატისტიკა. 6 მაისი

**თბილისი. სტადიონი შევარდენი. 100 მაყურებელი**
**სპარტაკი – ტორპედო 1-2**
**სპარტაკი:** ნაფეტვარიძე, ელიზბარაშვილი, ჯანგიძე, თ. მჭედლიშვილი, ჯორბენაძე, (ა. დანელია 58), ო. გაგნიძე, ჯიბლაძე, მ. ლობჟანიძე, კ. შალამბერიძე (რატია 55), ხარაიშვილი (ლიპარტელიანი 46), მაღლაფერიძე.
**ტორპედო:** ჰურაძე, ბერუაშვილი, ზ. ჩხეტიანი, გამეზარდაშვილი, გ. გურული, კოროლიძე, გ. ყიფიანი, რ. კვერნაძე, მ. ლონლაძე (ლალაძე 61), დოლონაძე (ბუხრაშვილი 81), პარამონოვი (კავთელაძე 79).
**გოლები:** 0-1 გ. ყიფიანი (27), 1-1 კ. შალამბერიძე (37 პ). 1-2 რ. კვერნაძე (66).
**გააფრთხილეს:** ა. დანელია (86)
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**თბილისი. სტადიონი „ოლიმპი". 200 მაყურებელი**
**თბილისი – კახეთი 3-0**
**თბილისი:** მ. ალავიძე, მიმინოშვილი (ვ. ქორიძე 65), გუშარაშვილი, მიქაშვილი, ხოხონიშვილი, ბესარაშვილი, ლ. კვარაცხელია, ხოჯავა (თ. ბურნაძე 59), აფციაური, სახვაძე, რევაზ ბარაბაძე (ვ. კვარაცხელია 81).
**კახეთი:** ცინაძე, ტარუღაშვილი, კობაიძე, ა. კვირკველია, ნ. დავითაშვილი, კევლიშვილი, კუპრაშვილი (ა. ბურნაძე 56), როსტიაშვილი (ბიძინაშვილი 87), დ. ბურდული, იმერლიშვილი, ტეტიაშვილი.
**გოლები:** 1-0 ბარაბაძე (42), 2-0 ბურნაძე (82), 3-0 კვარაცხელია (84)
**გააფრთხილეს:** კევლიშვილი (15).
**მსაჯი:** ლ. სილაგავა (თბილისი).

**ბორჯომი. ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონი. 3000 მაყურებელი**
**ბორჯომი – ლოკომოტივი 2-0**
**ბორჯომი:** მამალაძე, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ს. ბურნაძე, დ. ბაქრაძე, ვ. გოჩაშვილი (თედიაშვილი 66), მესხი, სანიკიძე, გ. ჩხეტიანი, რ. გეწაძე (ნ. ლომიძე 83) დეპორასი.
**ლოკომოტივი:** ლ. ლომიძე, ზ. ავალიანი, ებრალიძე, თუთბერიძე, ფურთუხია, ბარბაქაძე (ლ. ყენია 46), გ. ყიფიანი, ბახტაძე (ხორგუაშვილი 82), გ. ჩივაძე, მ. ქლენტი, გ. კახელიშვილი.
**გოლები:** 1-0 ვ. გოჩაშვილი (53), 2-0 დეპორასი (58).
**გააფრთხილეს:** ბარბაქაძე (4), მემარნიშვილი (10), გოჩაშვილი (54).
**მსაჯი:** მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი).

**ბოლნისი: თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი. 2000 მაყურებელი**
**სიონი – ამერი 3-0**
**სიონი:** ბათიაშვილი, ლ. ჭელიძე, ჰიჭვეიშვილი (ბაჯელიძე 77), რაქვიაშვილი, ა. ალავიძე, ხმალაძე, გუბრიენკო, ვ. უგრეხელიძე, ქუცურუა (კობაური 46), ხუციშვილი (ქარდავა 62), მიკუჩაძე.
**ამერი:** ქვაჩახია, დ. მჭედლიშვილი, ხვადაგიანი, გვაძაბია (გარუჩავა 57), ჩიკვილაძე, (ელბაქიძე, 46), ტატანაშვილი, დობროვოლსკი (ჩიმაკაძე, 61), ბოლქვაძე, დეკანოსიძე, ნიკოლაიშვილი, დავითაშვილი.
**გოლები:** 1-0 ხუციშვილი (32), 2-0 მიკუჩაძე (60პ), 3-0 მიკუჩაძე (65პ) გააფრთხილეს: ხვადაგიანი (76), გუბრიენკო (78).
**მსაჯი:** კ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

**გორი: სტადიონი „ქართლი". 100 მაყურებელი. 6 მაისი. 2006 წ.**
**„ცხინვალი" ცხინვალი – „დინამო" ბათუმი 1-2**
**ცხინვალი:** შენგელია, ჩიტაია, ლომიძე, ქარქუზაშვილი, ეჯოშვილი, ხაჭაპურიძე (დ. ხანიშვილი 71) კ. ხანიშვილი (ბოლოთაშვილი 78), ნოზაძე, თაყაძე (მძინარიშვილი 78) ბ. ჩიტაია, სულთანიშვილი.
**დინამო::** სომხიშვილი, ონიანი, გ. მახვილაძე, ლომიძე, ქებაძე, სეთურიძე, გვაზავა, რ. ონიანი, კაკალაძე (გოგიშვილი 85) ჯიქია (უგრეხელიძე 53) დვალიშვილი.
**გოლები:** 0-1 ონიანი(11), 0-2 დვალიშვილი(25), 1-2 სულთანიშვილი(41).
**გააფრთხილეს:** შენგელია (11), ქარქუზაშვილი (65) ქებაძე (13), გვაზავა (60).
**მსაჯი:** დ. სანაია (სოხუმი).

**თბილისი. მ. მესხის სახ. სტადიონი. 300 მაყურებელი. 6 მაისი, 2006 წ.**
**„დინამო" თბილისი – „კოლხეთი 1913" ფოთი. 5-0**
**დინამო:** სტურუა (ლორია 46), ორბელაძე, შაშიაშვილი, ნავალოვსკი, ბურდული, ნოზაძე, გიგაური (ჩირიკაშვილი 64) დარასელია, კობახიძე, დვალი, ბობოხიძე (ვაწაძე 46).
**კოლხეთი 1913:** ხარძეიშვილი, ნოდია (ხოფერია 46), ყურაშვილი, წაბრია, გოგნაძე, ლოლუა, სახოკია (ღვანია 65), ალასანია (ჯახუა 55), ქავთარაძე, ციკოლია, ბერულავა.
**გოლები:** 1-0 ბობოხიძე(4), 2-0 დვალი(7), 3-0 კობახიძე(29), 4-0 დვალი(45), 5-0 დვალი(86).
**გააფრთხილეს:** ბობოხიძე (37), ხოფერია (63)
**მსაჯი:** ო. ხეცაძე (თბილისი).

**ქ. მცხეთა. სტადიონი „არმაზი". 100 მაყურებელი. 6 მაისი. 2006 წ.**
**„ვიტ ჯორჯია" – „დილა" გორი 2-0**
**"ვიტ ჯორჯია":** მიქაბერიძე, დათუნაიშვილი (ჯაფარიძე 46) აბშილავა, იმედაშვილი, გველესიანი, ფეიქრიშვილი, დიღმელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, მელქაძე (ლუქაშვილი 46) ბერიაშვილი, გელაშვილი (ცხომარია 74).
**„დილა":** ილურიძე, გალოგრე, საყვარელიძე, ოლგესაშვილი (თურმანიძე 64), ჭელიძე, გვარუციძე (ფირანიშვილი 75), შატაკიშვილი (კობახიძე 74) ტლაშაძე, კურტანიძე, ლაბაძე, წუწუნავა.
**გოლები:** ფეიქრიშვილი (53), ლუქაშვილი (70)
**გააფრთხილეს:** კურტანიძე (27), ჭელიძე (39), გვარუციძე (63). გველესიანი (69), ცხომარია (83).
**მსაჯი:** დ. ხარიტონაშვილი (თბილისი).

**ზესტაფონი: ცენტრალური სტადიონი. 3000 მაყურებელი**
**ზესტაფონი – დინამო (სოხ) 4-1**
**ზესტაფონი:** გ. ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ლონლაძე (ბენაშვილი 90), ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე, ნუდნი, განუგრავა (ძარია 65), ბ. ნოზაძე, ფიფია (გ. ჭელიძე 78), იონანიძე.
**დინამო:** სეფიაშვილი, ბართია, მოლოდინი, მაჩალაძე, ჭყოიძე, დ. კახელაშვილი (ი. ჭანტურია 35), სიხარულიძე (მამფორია 78), დონდოლაძე, ხაჩიძე, გაგუა, ა. ნოზაძე.
**გოლები:** 0-1 კახელიშვილი (7), 1-1 მაჩალაძე (8. ს. კარში), 2-1 თურმანიძე (15), 3-1 იონანიძე (75), 4-1 ჭელიძე (88).
**გააფრთხილეს:** ჭყოიძე (16), ბართია (50), ბენაშვილი (84)
**მსაჯი:** კ. ჭაჭუა (ქუთაისი).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს გენერალურ მდივანს **უჩა უგულავას**.

# კახა კალაძე ევროპელთა მარქაფში

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი და მცველი **კახა კალაძე** ზედიზედ მეორედ მოხვდა ევროპის სიმბოლურ ნაკრებში. ევროპის სპორტული მედიის ESM-ის ვერსიაში კახამ ოთხი ხმა მიიღო, რაც ნაკრებში მოსახვედრად საკმარისი გამოდგა. სპორტული გამოცემების არჩევანი ამჯერად ასეთია:

ლემანი (არსენალი), პუიოლი (ბარსელონა), კრისი (ლიონი), კოლო ტურე (არსენალი), კახა კალაძე (მილანი), ინიესტა (ბარსელონა), კაკა (მილანი), რონალდინიო (ბარსელონა), ვილია (ვალენსია), რუნი (მანჩესტერი), ეტოო (ბარსელონა).

ამ ორგანიზაციის სიმბოლურ ნაკრებში, თავის დროზე კიდევ ორი ჩვენი ფეხბურთელი — **გიორგი ქინქლაძე** და **შოთა არველაძე** მოხვდნენ.

# ლეგიონერთა მოსალოდნელი ტრანსფერები

საფეხბურთო სეზონი მთავრდება და სავსებით შესაძლებელია, უცხოეთში მოთამაშე, რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა კლუბი გამოიცვალოს. უპირველესად, ლაპარაკია ორ შესაძლო ტრანსფერზე. გერმანულ „შალკეში" მოთამაშე **ლევან კობიაშვილს** თავისთან იტალიური „პალერმო" ეპატიჟება. **შოთა არველაძე** კი ჰოლანდიური „ალკმაარიდან" ინგლისის „ფულემში" გადავიდეს.

ახალ კლუბებში სურთ გადასვლა უკრაინაში მოთამაშე ლეგიონერებსაც, ხარკოვის „მეტალისტის" კაპიტანს და ბომბარდირს **ლაშა ჯაკობიას**, კიევის „არსენალის" ნახევარმცველს **ჯაბა კანკავას** და კრივოიროგის „კრივბასის" ფორვარდს **ვასილ გიგიაძეს**.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამ...

# იტალიაში ინტრიგა მოკვდა?

## „ბაიერნი“ მეოცედ!



**გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები.**

პრაქტიკულად, **იტალიის სერია „ა“-ში** ინტრიგა აღარ დარჩა. ტურინის „იუვენტუსმა“ საკუთარ მოედანზე 2-1 სძლია „პალერმოს“. მართალია, „მილანმაც“ მოიგო ამ 37-ე ტურში, მაგრამ „ბებერი ქალბატონის“ ჩემპიონობას ვეღარ შეეცილება. რჩება მხოლოდ თეორიული შანსები...

„პალერმოსთან“ „იუვენტუსის“ ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს ნედვედმა და იბრაჰიმოვიჩმა.



**„იუვენტუსი“:** აბიატი, ბალსარეტი (ძებინა, 80), კანავარო, კოვაჩი, კამორანეზი, ძამბროტა, ემერსონი, ნედვედი (მუტუ,79), ვიეირა, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი (დელ პიერო, 60).

„მილანმა“ სტუმრად 3-2 დაამარცხა „პარმა“. კახი კალაძის გუნდიდან თავი გამოიჩინეს კაკამ, კაფუმ და ზეედორფმა.

**„მილანი“:** დიდა, კაფუ, კალაძე, ნესტა, გატუზო, კაკა, ზეედორფი, სერჯინიო, (იანკულოვსკი, 55), ინძაგი (რუი კოშტა, 70), შევჩენკო (ჯილარდინო, 8).

**სხვა შეხვედრები:** „ასკოლი“ — „ლაციო“ 1-4, „ფიორენტინა“ — „რეჯინა“ 5-2, „ინტერი“ — „სიენა“ 1-1, „ლეჩე“ — „კიევო“ 0-0, „ლივორნო“ — „სამპდორია“ 0-0, „მესინა“ — „ემპოლი“ 1-2, „უდინეზე“ — „კალიარი“ 2-0, „რომა“ — „ტრევიზო“ 1-0.

**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 37 | 26 | 10 | 1 | 69-24 | 88 |
| „მილანი“ | 37 | 27 | 4 | 6 | 83-30 | 85 |
| „ინტერი“ | 37 | 23 | 6 | 8 | 66-28 | 75 |
| „ფიორენტინა“ | 37 | 21 | 8 | 8 | 64-41 | 71 |
| „რომა“ | 37 | 19 | 12 | 6 | 69-40 | 69 |

**გერმანიის ბუნდესლიგის** დამთავრებამდე 33-ე ტურში ჩემპიონის ვინაობა გახდა ცნობილი. ეს ტიტული მეოცედ მოიპოვა მიუნხენის „ბაიერნმა“, რომელმაც მართალია, სტუმრად ფრედ 1-1 ითამაშა „კაიზერსლაუტერნთან“, მაგრამ მაინც მიუწვდომელი გახდა მეტოქეთათვის. საინტერესოა, რომ მიუნხენელები სულაც აგებდნენ შეხვედრას 0-1 (ანგარიში ალთინთოფმა გახსნა), მხოლოდ მეორე ნახევარში მოახერხა ანგარიშის გათანაბრება ოტლმა.

**„ბაიერნი“:** კანი, დემიკელისი, ლამი, ლუსიო, სანიოლი, ზე რობერტუ (შოლი, 65), ბალაკი, ოტლი, შვაინშტაიგერი (სალიჰამიჯიჩი, 79), პისარო, სანტა კრუსი (მაკაი, 46).

„ბაიერნის“ უახლოესი მდევარი „ჰამბურგი“ ორჯერ — 1-0 და 2-1 უგებდა სტუმრად „ჰერტას“, მაგრამ მაინც დამარცხდა — 2-4. წააგო ლევან კობიაშვილის „შალკემაც“ — სტუმრად 0-1 „მაინცთან“.

**„შალკე“:** როსტი, ხამით ალთინთოფი (ბაირამოვიჩი, 70), ბორდონი, კობიაშვილი, რაფინია, როდრიგესი, ერნსტი, ლინკოლნი, ვარელა, ასამოა (ასაუაგი, 59), ლარსენი (სანდი, 76).

**სხვა შეხვედრები:** „არმინია“ — „დუისბურგი“ 0-2, „ლევერკუზენი“ — „ნიურნბერგი“ 2-2, „დორტმუნდი“ — „აინტრახტი“ 1-1, „მიონხენგლადბახი“ — „ჰანოვერი“ 2-2, „შტუტგარტი“ — „ვოლფსბურგი“ 2-1, „ვერდერი“ — „კიოლნი“ 6-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 33 | 22 | 8 | 3 | 64-29 | 74 |
| „ჰამბურგი“ | 33 | 21 | 5 | 7 | 52-28 | 68 |
| „ვერდერი“ | 33 | 20 | 7 | 6 | 77-36 | 67 |
| „შალკე“ | 33 | 15 | 13 | 5 | 44-29 | 58 |
| „ლევერკუზენი“ | 33 | 14 | 9 | 10 | 62-47 | 51 |

დასრულდა **ინგლისის პრემიერლიგის** გათამაშება. ლონდონის „არსენალმა“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა „უიგანი“ 4-2, დაიკავა მეოთხე ადგილი და მომავალი სეზონისათვის ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა. ბოლო ტურის შეხვედრაში „არსენალის“ ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს ანრიმ (3) და პირესმა.

**„არსენალი“:** ლემანი, კემპბელი, კოული, ებუე, კოლო ტურე, სილვა, ფაბრეგასი, გლები (ვან პერსი, 79), ანრი, პირესი, (იუნგბერგი, 74), რეიესი (ბერხკამპი, 79).

უკვე გაჩემპიონებულმა „ჩელსიმ“ სტუმრად 0-1 წააგო „ნიუკასლთან“. ეს ერთადერთი ბურთი რომან აბრამოვიჩის გუნდის კარში ბრემბლმა გაიტანა 73-ე წუთზე.

**„ჩელსი“:** პიჯელი, გალასი, ჰუტი (რაიტ-ფილიპსი, 46), ჯონსონი, ფერეირა, კარვალიუ (სმიტი, 81), ჯო კოული, დიარა, დაფი (კარლტონ კოული, 46), მანიშე, რობენი.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ გაანადგურა „ჩარლტონი“ — 4-0. ბურთები გაიტანეს საამ, კრისტიან რონალდომ და სქოულზმა. ერთი ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა „ჩარლტონის“ მოთამაშემ რიჩარდსონმა.

**„მანჩესტერ იუნაიტედი“:** ვან დერ საარი, ნევილი, (ვიდიჩი, 62), ფერდინანდი, ბრაუნი, ოში, (სქოულზი, 46), სილვესტრი, გიგზი, რიჩარდსონი, რონალდო, საა, (სოლსკიაერი, 61), როსი. „ლივერპულმა“ 3-1 სძლია „პორტსმუთის“. გამარჯვებული გუნდის რიგებში თავი გამოიჩინეს ფაულერმა, კრაუჩმა და სისემ.

**„ლივერპული“:** დუდეკი, ჰიუიპია, კარაგერი, ფინანი, როსე, ხავი ალონსო (კრომკამპი, 41), ჯერარდი, კიუელი, ფაულერი (სისე, 83), მორიენტესი, (კრაუჩი, 67).



**სხვა შეხვედრები:** „ვესტ ჰემი“ — „ტოტენჰემი“ 2-1, „ასტონ ვილა“ — „სანდერლენდი“ 2-1, „ბლექბერნი“ — „მანჩესტერ სიტი“ 2-0, „ბოლტონი“ — „ბირმინგემი“ 1-0, „ევერტონი“ — „ვესტ ბრომვიჩი“ 2-2, „ფულემი“ — „მიდლსბრო“ 1-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩელსი“ | 38 | 29 | 4 | 5 | 72-22 | 91 |
| „მანჩ. იუნ“ | 38 | 25 | 8 | 5 | 72-34 | 83 |
| „ლივერპული“ | 38 | 25 | 7 | 6 | 57-25 | 82 |
| „არსენალი“ | 38 | 20 | 7 | 11 | 68-31 | 67 |
| „ტოტენჰემი“ | 38 | 18 | 11 | 9 | 53-38 | 65 |

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** 37-ე ტურში „ბარსელონამ“ ჩემპიონურად „გააგრძელა“, — მორიგი მატჩი მოიგო. ამჯერად „ესპანიოლს“ 2-0 სძლია. ერთი ბურთი რონალდინიომ გაიტანა, ერთიც საკუთარ კარში ჩაჭრა ჰარკემ.

**„ბარსელონა“:** ჰორგუერა, პუიოლი, ბელეტი, ედმილსონი, ოლეგერი, სილვინიო, დეკუ, ხავი (გაბრი, 60), ლარსონი (ესკუერო, 76), რონალდინიო (ჟიული, 62), ეტო'ო.

მადრიდის „რეალმა“ საკუთარ მოედანზე ფრედ დაასრულა შეხვედრა „ვილიარეალთან“ 3-3.

**რეალი“:** კასილიასი, რობერტო კარლოსი, მეხია, სერხიო, მიჩელ სალგადო (სისინიო, 60), ბაპტისტა, ბექჰემი, პაბლო გარსია (გუტი, 60), ზიდანი (რაულ ბრავო, 90), რაული, რობინიო.

**სხვა შეხვედრები:** „დეპორტივო“ — „ბილბაო“ 1-2, „ხეტაფე“ — „კადისი“ 3-1, „რასინგი“ — „ოსასუნა“ 2-1, „ბეტისი“ — „მალიორკა“ 2-1, „სოსიედადი“ — „სელტა“ 2-2, „სარაგოსა“ — „ალავესი“ 3-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 36 | 25 | 7 | 4 | 77-29 | 82 |
| „რეალი“ | 37 | 20 | 10 | 7 | 67-36 | 69 |
| „ვალენსია“ | 37 | 19 | 12 | 6 | 57-31 | 69 |
| „ოსასუნა“ | 37 | 20 | 5 | 12 | 47-42 | 65 |
| „სევილია“ | 36 | 18 | 8 | 10 | 47-34 | 62 |

გაგაცნობთ **საფრანგეთის ჩემპიონატის** 37-ე ტურის შედეგებს: „ნანსი“ — „ოსერი“ 1-3, „ლემანი“ — „ლანსი“ 0-0, „ლილი“ — „ლიონი“ 4-0, „მარსელი“ — „სტრასბური“ 2-2, „ნანტი“ — „ბორდო“ 0-1, „ნიცა“ — „მეცი“ 2-1, პსჟ — „აიაჩო“ 2-4, „სოშო“ — „ტრუა“ 1-1, „სტ. ეტიენი“ — რენი“ 0-0, „ტულუზა“ — „მონაკო“ 3-3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლიონი“ | 37 | 24 | 9 | 4 | 65-30 | 81 |
| „ბორდო“ | 37 | 18 | 14 | 5 | 42-24 | 68 |
| „ლილი“ | 37 | 16 | 13 | 8 | 54-29 | 61 |
| „მარსელი“ | 37 | 16 | 11 | 10 | 43-34 | 59 |
| „რენი“ | 37 | 18 | 4 | 15 | 46-47 | 58 |



# ნასვამი მაგათი

მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა გერმანიის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებასთან დაკავშირებით მდინარე რეინზე მოსეირნე გემზე მოილხინეს. რატომღაც მათ შორის არ ჩანდა გუნდის მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი. ამის მიზეზად, თავკაცმა მოგვიანებით განაცხადა: „როცა „კაიზერსლაუტერნთან“ მატჩი დასრულდა და გავემგზავრეთ, ავტობუსში ალკოჰოლს მივეძალე და გვარიანად დავთვერი. თანაც ისე, რომ გემზე მოლხენის თავიც აღარ მქონდა“.

„ბაიერნის“ მენეჯერის ული ჰიონესის განმარტებით, მაგათს ალკოჰოლური სასმელი, თურმე, 6 თვე არ მიუღია და ერთბაშად მიღებულმა სამმა ტოლჩა ლუდმა, აგრეთვე შამპანურმა, ეფექტი მოახდინა.

# უმაღლესი ხარისხის „მაკარონე“

მატჩის გმირი, — ეს „წოდება“ ხშირად ენიჭება იმ მოთამაშეს, რომელიც შეიძლება არ იყოს ტექნიკური, სამაგიეროდ, თამაშის ბედს წყვეტს. სწორედ ასეთ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება მასიმო მაკარონე. სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი ბურთები უეფას თასის გათამაშების შეხვედრებში „ბაზელთან“ და „სტიაუასთან“, რის შედეგადაც „მიდლსბრო“ ფინალში გაიყვანა. ამ გოლებმა მაკარონე ინგლისური ქალაქის გმირად აქციეს.

2004-2005 წლების სეზონში მაკარონე არენდით თამაშობდა ჯერ „პარმას“, შემდეგ „სიენას“ შემადგენლობაში. 2005-2006 წლების სეზონი კი „მიდლსბროს“ რიგებში დაიწყო — გუნდის მეოთხე თავდამსხმელი იყო. ის ძირითად შემადგენლობაში ვერ იკიდებდა ფეხს. ვერც სექტემბერში „არსენალის“ კარში გატანილმა ბურთმა უშველა და ვერც უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე „ლიტექსთან“ შესრულებულმა „დუბლმა“... ბოლოს, როგორც იქნა, კიდევ ერთი შანსი მისცეს მაკარონეს, რომელიც სრულად გამოიყენა.

უეფას თასის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში „მიდლსბრო“ სტუმრად 0-2 დამარცხდა „ბაზელთან“. განმეორებითი შეხვედრის დასაწყისში ინგლისელებმა სწრაფი გოლი გაუშვეს... ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ შემდგომ ეტაპზე გასასვლელად „მიდლსბროს“ მინიმუმ ოთხი უპასუხო ბურთი უნდა გაეტანა ძირითად დროში. ვიდუკამ 2-ჯერ აილო „ბაზელის“ კარი და 67-ე წუთზე მოედანზე გამოჩნდა მაკარონე. მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე ჰასელბაინკმა ანგარიში 3-1 გახადა მასპინძელთა სასარგებლოდ, ფინალურ სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე (!) მაკარონემ ბურთის გატანა მოახერხა — „მიდლსბრომ“ 4-1 მოიგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა. ნახევარფინალში „მიდლსბროს“ მეტოქე რუმინული „სტიაუა“ იყო. ინგლისელები პირველ შეხვედრას სტუმრად ატარებდნენ. მაკარონეს ისევ შეცვლაზე მოუწია მოედანზე შესვლა და მისთვის გამოყოფილ დროში (20 წუთი) ვერაფრით გამოიჩინა თავი. თამაში რუმინელებმა 1-0 მოიგეს.



განმეორებით შეხვედრა დრამატული სცენარით წარიმართა. 24-ე წუთისთვის „სტიაუა“ 2-0 იგებდა! ისევე, როგორც „ბაზელთან“, ინგლისელები რთული ამოცანის წინაშე დადგნენ— ისევ ოთხი უპასუხო ბურთი უნდა გაეტანათ... „მიდლსბროს“ მწვრთნელმა მაკარონე პირველ ტაიმში გამოიყვანა საუთგეიტის ნაცვლად და ამ ნაბიჯმა გაუმართლა. 33-ე წუთზე იტალიელმა ფეხბურთელმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა და იმედები ჩაუსახა „მიდლსბროს“ გულშემატკივრებს. მას მხარი აუბეს ვიდუკამ და კრის რიგოტმა. 89-ე წუთზე მაკარონეს თავური დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — „მიდლსბრომ“ 4-2 იმარჯვა და ფინალში გავიდა!

„ზოგჯერ ადამიანს უმართლებს. „სტიაუას“ წინააღმდეგ 70 წუთის განმავლობაში ვითამაშე და ორი ბურთი გავიტანე. მოხარული ვარ, რომ ჩემი გოლები დაეხმარა „მიდლსბროს“ უეფას თასის გათამაშების ფინალში გასვლაში, — აღნიშნა მასიმო მაკარონემ ჟურნალისტებთან საუბარში, — ფინალში გასვლა ჩვენი გუნდისათვის დიდი მიღწევაა. ეს მთელი სიცოცხლე მემახსოვრება. მადლობელი ვარ გულშემატკივრების, რომლებიც თამაშების დროს გვქომაგობენ 90 წუთის განმავლობაში. მე ვალდებული ვარ მათ წინაშე — მოედანზე საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას ვცდილობ“.

ცოტა რამ მაკარონეს ბიოგრაფიიდან. მან კარიერა „მილანის“ საფეხბურთო აკადემიაში დაიწყო. თამაშობდა სერია „ც“-ში მოასპარეზე „პრატოში“, შემდეგ „ემპოლში“ გადავიდა და ამ გუნდის შემადგენლობაში, ორი სეზონის მანძილზე 24 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში. მისმა ასეთმა შედეგიანობამ კლუბი სერია „ა“-ში გადაიყვანა. სპეციალისტებმა მალე შეამჩნიეს პერსპექტიული ფორვარდი. მაკარონე იტალიის ნაკრებშიც მიიწვიეს — ითამაშა ამხანაგურ შეხვედრაში ინგლისელების წინააღმდეგ, „გამოიმუშავა“ თერთმეტმეტრიანი, რომლის ზუსტად შესრულების შემდეგ „სკუადრა აძურამ“ 2-1 იმარჯვა.

გარდა ამისა, მაკარონე თამაშობდა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის 2002 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. ორი ბურთი გაუტანა ინგლისელებს. მან თავი გამოიჩინა ფინალურ შეხვედრაში ჩეხების წინააღმდეგაც. მართალია მისმა გოლმა ვერ მოუტანა ჩემპიონის ტიტული „სკუადრა აძურას“, მაგრამ თვით ფეხბურთელის კარიერაში ახალი ეტაპი დაიწყო — „მიდლსბრომ“ 11,9 მილიონი ევრო გადაიხადა და მაკარონე „ნისლიან ალბიონში“ გადაბარგდა.

ინგლისში ჩავიდა თუ არა, მაკარონე ჟურნალისტებს დაპირდა, რომ დაამხობდა ფაბრიციო რავანელის რეკორდს, რომელმაც 1996-1997 წლების სეზონში 31 ბურთი გაიტანა „მიდლსბროს“ სასარგებლოდ და დაეხმარა გუნდს ინგლისისა და ლიგის თასის ფინალში გასვლაში. მართლაც მაკარონემ „მიდლსბროს“ შემადგენლობაში წარმატებით დაიწყო პირველი სეზონი — 9-ჯერ აილო მეტოქეთა კარი. შემდეგ „მოიწყინა“... 2003-2004 წლების სეზონში მაკარონე 13-ჯერ გამოჩნდა მოედანზე... სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა, როგორ მოიგო „მიდლსბრომ“ ინგლისის ლიგის თასი... იტალიელი არენდით იტალიაში გასცეს. ბევრს ეგონა, რომ მას ინგლისში არ დააბრუნებდნენ, მაგრამ...

„მე შესანიშნავ სპორტულ ფორმაში ვარ. უეფას თასის ფინალში „ჰეთ-თრიკის“ შესრულებას ვგეგმავ“ — გვპირდება მასიმო მაკარონე.

# კონსტანტინ ბესკოვი გარდაიცვალა

**ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა ფეხბურთში კარგად ცნობილი სპეციალისტი, ყოფილი მწვრთნელი კონსტანტინ ბესკოვი.**

**თავის დროზე თამაშობდა სხვადასხვა გუნდებში. 1944 წელს მოსკოვის „დინამომ“ ლეგენდარული ტურნე მოაწყო ინგლისში, ადგილობრივი გრანდები ზედიზედ დაამარცხა („კარდიფი“, „არსენალი“, „ჩელსი“, „რეინჯერსი“) საერთო ანგარიშით 19-9. დინამოელთა შემადგენლობაში ბესკოვიც ასპარეზობდა. გატანილი 19 ბურთიდან 5 სწორედ მის ანგარიშზე იყო.**

**მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, წლების განმავლობაში ბესკოვი წვრთნიდა მოსკოვის „დინამოს“, „ზარიასა“ და „სპარტაკს“. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა 1963 წელს. ამ გუნდს ბესკოვი მოგვიანებითაც, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ხელმძღვანელობდა.**

# ნბა

## „ფინიქსმა" „ლეიკერსი" და კობი ბრაიანტი გამოაგდო



ნბა-ს ფლეი-ოფის პირველი რაუნდი „ფინიქსისა" და „ლეიკერსის" რიგით მეშვიდე შეხვედრით დასრულდა. აქამდე ანგარიში სერიაში თანაბარი იყო — 3:3. გადამწყვეტი თამაში „ფინიქსის" კალათბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დასრულდა — 121:90. „ლეიკერსს" ვერ უშველა კობი ბრაიანტმა, რომელმაც 24 ქულა დააგროვა. „ფინიქსის" რიგებში კი აქტიურობდნენ ბარბოზა და დიაო. ბარბოზას ანგარიშზე 26 ქულაა, ხოლო დიაოსი — 21. ასევე კარგად ითამაშა მერიონმა. მართალია მან „ფინიქსს" მხოლოდ 14 ქულა შესძინა, მაგრამ ამავე დროს 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

გუშინ კი ფლეი-ოფის მეორე რაუნდი დაიწყო. „სან-ანტონიომ" პირველ შეხვედრაში ორი ქულის სხვაობით — 87:85 დაამარცხა „დალასი". სან-ანტონიოელთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა თიმ დანკანმა, რომელმაც 31 ქულა მოაგროვა და 13-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

მატჩის გმირი გახდა „სან-ანტონიოს" ფორვარდი ბრიუს ბოუენი, რომელმაც გადაწყვიტა სამქულიანი ჩაეგდო მატჩის მიწურულს.

„დეტროიტმა" 113:86 სძლია „კლივლენდს". გამარჯვებული გუნდის რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო პრინსი — 24 ქულა.

## «ოქროს ბიჭის» დაბრუნება

დამაარცხა რა ნიკარაგუელი პროფესიონალი მოკრივე რიკარდო მაიორგა, „ოქროს ბიჭუნად" ცნობილმა ოსკარ დე ლა ჰოიამ ვბც-ს ვერსიით პირველ საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ერთ ისტორიას გაგახსენებთ: 2004 წლის 18 სექტემბერს ოსკარ დე ლა ჰოია მძიმე ბრძოლაში დამარცხდა ბერნარდ ჰოპკინსთან. მეცხრე რაუნდიდან 1 წუთი და 38 წამი იყო გასული, როცა რეფერებმა ბრძოლა შეწყვიტეს და გამარჯვება ჰოპკინსს მიანიჭეს.

ამ დამარცხებით „ოქროს ბიჭუნას" კარიერაში დაღმასვლა დაიწყო. ის კი არა, ჟურნალისტებმა ოსკარი მიივიწყეს... დე ლა ჰოიას დაბრუნება ეწადა და ორი წლის შემდეგ დარუნდა კიდეც!

რიკარდო მაიორგასთან გამოცდა „ოქროს ბიჭუნამ" წარმატებით ჩააბარა. პირველივე რაუნდიდან მსოფლიოს ექსჩემპიონმა ექვს წონით კატეგორიაში (!) გაშმაგებით შეუტია მოქმედ ჩემპიონს. მაიორგა მეექვსე რაუნდში იატაკზე გაიშხლართა. რეფერის მეცხრე თვლაზე რიკარდო ფეხზე წამოდგა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ბრძოლის გაგრძელების თავი აღარ ჰქონდა.

რეფერმა ჯეი ნელდიმ ბრძოლა შეწყვიტა, „ოქროს ბიჭუნამ" კი ვარსკვლავის იმიჯი დაიბრუნა.



## სამოყვარულო სპორტიდან მიდის...

ფიგურულ ციგურაობაში ოლიმპიური ჩემპიონი სიძუკა არაკავა ამიერიდან პროფესიონალთა შორის იასპარეზებს. სამოყვარულო სპორტიდან წასვლის შესახებ განცხადება არაკავამ გუშინ გააკეთა სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში.

„ძალიან მიზიდავს პროფესიონალთა შოუებში მონაწილეობა. მინდა, რომ ფიგურული ციგურაობის მთელი ბრწყინვალება დავანახვო ხალხს. ეს ჩემი ოცნებაა", — ამბობს არაკავა.

შეგახსენებთ, რომ არაკავა ტურინში გახდა პირველი იაპონელი სპორტსმენი, რომელმაც სპორტის ამ სახეობაში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული



## რეიტინგები... რეიტინგები...

გუშინ ჩოგბურთელთა მორიგი რეიტინგები გამოქვეყნდა ვაჟთა შორის. კვლავინდებურად შვეიცარიელი როჯე ფედერერი ლიდერობს, რომელსაც 7160 ქულა აქვს საერთო ჩათვლაში. მიმდინარე საჩემპიონო რბოლაში მისი მონაგარი ჯერჯერობით 562 ქულაა. მეორე ადგილი ორივე შემთხვევაში ესპანელ რაფაელ ნადალს უჭირავს — შესაბამისად 4135 და 284. საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზეა არგენტინის წარმომადგენელი დავიდ ნალბანდიანი — 2885, ხოლო მიმდინარე საჩემპიონო რბოლაში — ივან ლუბიჩიჩი 250.

**ქალთა შორის ასეთი მდგომარეობაა:**

**მიმდინარე საჩემპიონო რბოლა (პირველი სამეული)**

1) ამელი მორესმო (საფრ.) — 1440
2) ჟუსტინ ენენ — არდენი (ბელგია) — 1189
3) ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) — 1181

**საერთო ჩათვლა:**

1) ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 3437
2) კიმ კლიისტერსი (ბელგია) — 3048
3) მარია შარაპოვა (რუსეთი) — 2672

## ევროპის გრან პრი მიხაელ შუმახერისაა



„ფორმულა 1"-ის მორიგი ეტაპი — ევროპის გრან პრი „ფერარის" პილოტმა მიხაელ შუმახერმა მოიგო. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ფერნანდო ალონსო მეორე ადგილზე გავიდა. ამ გამარჯვების შედეგად გერმანელმა პილოტმა ორი ქულით შეამცირა ქულათა სხვაობა „რენოს" პილოტთან საერთო ჩათვლაში.

ევროპის გრან პრის სტარტმა მშვიდად ჩაიარა. თავიდანვე მიხაელი დაწინაურდა, რომელსაც კვალში ფელიპე მასა ჩაუდგა. შემდეგ ალონსო დაწინაურდა. სხვაობა „რენოსა" და „ფერარის" ბოლიდებს შორის დიდი არ იყო. ცხადი გახდა, რომ ყველაფერი ბოქსებში შევლის შემდეგ გადაწყდებოდა. 28-ე წრემდე ალონსო ლიდერობდა, მაგრამ ნერვიულობდა, რადგან სარკეში ... უკან მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ხედავდა.

როცა ალონსომ მეორედ შეიარა ბოქსში, შუმახერმა სწრაფად განაგრძო სვლა და საბოლოოოდ ისე გააკეთა, რომ ბოქსიდან გამოსული ალონსო უკვე საკმაო მანძილით ჩამორჩებოდა „ფერარის" პილოტს. შუმახერმაც შეიარა ბოქსში, მაგრამ ისევ პირველ პოზიციაზე დაუბრუნდა რბოლას და ამან გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედიც.

საბოლოოდ მიხაელ შუმახერი პირველი მიიჭრა ფინიშთან — მისი შედეგია 1 საათი 35 წუთი და 58,765 წამი. მას 3,7 წამით ჩამორჩა ალონსო, მესამე ადგილზე კი გავიდა „ფერარის" მეორე პილოტი ფელიპე მასა.

საერთო ჩათვლაში, პირველ საფეხურზე მყოფ ალონსოს 44 ქულა აქვს. 31 ქულით მეორე ადგილზეა მიხაელ შუმახერი.

კონსტრუქტორთა თასზე „რენო" ლიდერობს 62 ქულით, რომელიც 16 ქულით უსწრებს „ფერარის".

## ჩაკვეტაძემ პირველი წრე გაიარა

ბერლინში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, რომლის საპრიზო ფონდი გახლავთ 1.340 000 დოლარი, პირველი წრე წარმატებით გაიარა რუსეთის წარმომადგენელმა ანა ჩაკვეტაძემ, რომელმაც 6:1, 6:3 სძლია ჩეხ ივეტა ბენესოვას.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**9 მაისი, სამშაბათი**

НТВ плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა" (10.25), „რკინის ფაქტორი" (10.45), „ექო" (11.15), „ბურთი და ფარი" (14.15), ბილიარდი. აშშ-ის ღია პირველობა (15.00), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. ფლეი-ოფი (16.30), ფიგურული ციგურაობა. ბრაიან ბოიტანოს შოუ (19.15) საკალათბურთო მიმოხილვა (20.30), აფროსნობა. მოგზაურობა დედამიწის გარშემო (21.30), „სპორტული სოლო" (22.00), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (23.00), ჰოკეი. სტენლის თასის გათამაშება (3.00), ბრძოლა წესების გარეშე (7.00). EUROSPORT. ავტომოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტურინგის კლასში (10.30), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (11.30), ჩოგბურთი. ვტა-ს ჩემპიონატი გერმანიაში (13.30), ველოსპორტი. იტალიის ტური (17.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება პრაღაში (23.15), სუმო (2.00).

**10 მაისი, ოთხშაბათი**

НТВ плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა" (10.25), ჰოკეი. სტენლის თასის გათამაშება (10.45), „სპორტული სოლო" (13.30), საკალათბურთო მიმოხილვა (14.30), აფროსნობა. (15.00), ბადმინტონი. იაპონიის თასი (16.00), ნჰლ-ის გუნდები: „ნეშვილი" (21.30), „ბილიარდი". აშშ-ის ღია პირველობა (22.00), ჩოგბურთიი. „მასტერს სერიეს" ტურნირი რომში (23.00), ბეისბოლი (3.00). EUROSPORT. ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა (10.30), ფეხბურთი. უეფას თასის მატჩების მიმოხილვა (11.00), მსოფლიო ჩემპიონატის წინ. (11.30), ევროგოლები (12.00), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი გერმანიაში (14.30), საჩოგბურთო მიმოხილვა (21.30), აფროსნობა (21.45), ცხენოსნობა. კონკური (22.00), ცხენოსნობა. საფრანგეთის სუპერლიგა (23.00), გოლფი (0.00), სუმო. (2.00).

**11 მაისი, ხუთშაბათი**

НТВ плюс спорт. ბეისბოლი (10.45), ნჰლ-ის გუნდები: „ნეშვილი" (13.30), ბილიარდი. აშშ-ის ღია პირველობა (14.00), საკალათბურთო მიმოხილვა (15.00), ბადმინტონი. ტურნირი იაპონიაში (16.00), ფრენბურთი. გადაცემა „ექსი-ექსზე" (21.30), ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში (22.30), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" ტურნირი რომში (23.00), ჰოკეი. სტენლის თასის გათამაშება (3.00). EUROSPORT. ცხენოსნობა (10.30), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ (11.30), ველოსპორტი (13.00), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი გერმანიაში (13.30), ველოსპორტი (17.00), ფეხბურთი. 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (19.30, 22.15), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრებები (0.00), სუმო (2.00).

## კროსვორდი



**თარაზულად:** 6. წინალობა მძლეოსნობაში, 7. მოკრივის ინვენტარი, 8. ყველაზე მძიმე შედეგი კრივში, 10. საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით), 12. ბავშვთა საფეხბ. სკოლა თბილისში, 13. მოძრაობა კალათბურთში, რომელიც ჯარიმდება, 15. შეჯიბრება სპორტის ორ სახეობაში, 17. „რომას" ფეხბურთელი, 19. მწყობრი ნაბიჯი, 20. ავსტრიის საფეხბურთო გუნდი, 22. ბულგარელი მოჭადრაკე ვაჟი, 24. ქალაქი (აშშ), სადაც ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, 26. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 28. მშვილდით სატყორცნი, 29. მძლეოსნური პროგრამა.

**შვეულად:** 1. ბოლო ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 2. პორტუგალიური ფეხბურთის ვარსკვლავი, 3. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, 4. სპორტ.ნაწარმის ცნობილი ფირმა, 5. მსაჯის ატრიბუტის საგანი, 5-ა. იტალიის საფეხბ. კლუბი, 9. ვეტერანი ამერიკელი ვაჟი ჩოგბურთელი, 11. წარსულში ქალ ხელბურთელთა ცნობილი მწვრთნელი საქართველოში, 13. უცხოური სამაგიდო თამაში, 14. სოკ-ის შტაბბინის ქალაქი, 16. ნბა-ს ქართველი კალათბურთელი, 17. ძიუდოს ინვენტარი, 18. საქართველოს მეზობელი ქვეყანა, 21. კრივის არენა, 23. ნარნარი ფრენა, 25. პროფესიონალი მოკრივე, 27. საპლანერო სპორტის სარბიელი.

## საჭადრაკო უბიული

ზ. ფანჯაკიძე

(„64" 1986 წ.)



თეთრები იგებენ

№33-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ... მd7+
1. ..... მფe6 2. მf8+ მფe7 3. მg6 მფf6 4. მ:c3 მფg5 5. მe4+ მფ:h5 6. მf4X

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ნალბანდიანი, 5. „ამკარი", 7. უიგანი", 9. კრიკეტი, 11. ნოზაძე, 12. საკი, 15. რაგბი, 17. ფრე, 18. გივენი, 19. სტოიჩკოვი, 22. ინგლისი, 23. არეკნი, 25. როქი, 26. სინი.

**შვეულად:** 1. ნიუკასლი, 2. ბიანკი, 3. აფციაური, 4. ფინტი, 6. მარკოიშვილი, 8. კოკაი, 10. კატა, 13. კარლო, 14. ბექჰემი, 16. იგენი, 17. ფინიში, 20. ტარე, 21. იერო, 24. კუ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის ავტორია დავით ხარშილაძე.

## თარიღები

### დაიბადნენ

**9 მაისი**

**მილოსლავ მეჩირი** (1964) — ჩეხი ჩოგბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი.

**ტეგლა ლორუპი** (1973) — კენიელი მძლეოსანი, მსოფლიო რეკორდსმენი მარათონულ რბენაში.

**10 მაისი**

**მერლინ ოტი** (1960) — იამაიკელი მძლეოსანი, მსოფლიო ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში.

**ჯონათან ედვარდსი** (1966) — ინგლისელი მძლეოსანი, მსოფლიო რეკორდსმენი.

**კატია ზაიციგერი** (1972) — გერმანელი მეთხილამურე, ოლიმპიური ჩემპიონი,

**ნიკ ჰაიდფილდი** (1977) — „ფორმულა 1"-ის პილოტი.

**11 მაისი**

**ნენსი გრინი** (1943) — კანადელი მეთხილამურე, ოლიმპიური ჩემპიონი.

**ალან ბოლი** (1945) — ინგლისელი ფეხბურთელი. მსოფლიო ჩემპიონი (1966).

**იურგენ შულცი** (1960) — გერმანელი მძლეოსანი, მსოფლიო რეკორდსმენი ბირთვის კვრაში.

**ტომას დვორჟაკი** (1913) — ჩეხი მძლეოსანი, მსოფლიო რეკორდსმენი ათჭიდში.

## კვიმატი ობიექტივი



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე